პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

კვირა 30 ივლისი 1978 წ. № 178 (17222) ფასი 2 კაპ.

სურათზე: კოსმონავტი ა. ს. ივანჩენკოვი ღია კოსმოსში.
საქმესის ფოტოქრონიკა. (სურათი მიღებულია ტელეკოსმოსური კავშირგაბმულობით).

კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ყველა წარმატება და გამარჯვება, სოციალიზმის დიადი მონაპოვრები განუხრელად არის დაკავშირებული კომუნისტურ პარტიასთან. ისტორიული ბედი ჩვენი ხალხისა, რომელიც კომუნიზმის ნათელ შენობას აგებს, განუყოფელია მისი უდიდესი, დაუცხრომელი რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობისაგან. სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო სრულად ვლინდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი, რომელიც საკანონმდებლო წესით არის დამკვიდრებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით.

მაღალი და ურყევია პარტიის ავტორიტეტი მასებში. მან იგი მოიპოვა ხალხისადმი უანგარო სამსახურით. მრავალი ათწლეულის რევოლუციური ბრძოლისა და შემოქმედებითი აღმშენებლობის გამოცდილებით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, ყველა მშრომელი დარწმუნდნენ, რომ კომუნისტთა პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, არა აქვს იმაზე მაღალი მიზნები, ვიდრე მშრომელი ადამიანების კეთილდღეობა და ბედნიერება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირული გზა განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოუდგება თვალწინ საბჭოთა ადამიანებს ახლა, როცა სრულდება რსდმპ II ყრილობის 75-ე წლისთავი, რომელმაც შვა ისტორიაში პირველი ახალი ტიპის პარტია. მარქსისტული რევოლუციური პარტია — ბოლშევიკთა პარტია.

როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც დიდია ინტერესი ჩვენი პარტიის რევოლუციური მატიანის, მისი შესანიშნავი საქმეებისა და მგირობისადმი. მათი მნიშვნელობის ღრმად გაგებასა და გაანრებას ხელს უწყობს, ბოლშევიზმის სამოცდამეთხუთმეტე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-თეორიული კონფერენციები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები. ლექცია-მოხსენებანი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ყველგან იმართება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შექმნისა და განვითარების ისტორიის შესწავლა, პროპაგანდა მასების იდეური წრთობის, მათი პოლიტიკური აღზრდის ქმედითი საშუალებაა.

საბჭოთა ადამიანები, გონებასა და გულს რომ მიაპყრობენ მშობლიურ პარტიას, სიყვარულით უწოდებენ მას ლენინურს. ჩვენი ქვეყნის კომუნისტებს, ყველა მშრომელს შთაადგინებს იმის შეგნება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სათავეებთან იდგა დიდი ლენინი. იგი შეიქმნა ლენინური იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული პრინციპებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის მაღალ ბრძოლისუნარიანობასა და ავანგარდულ როლს კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. როგორც ვლადიმერ ილიას ძე ჰვრეტდა კიდეც, ამ ბრძოლის ხელმძღვანელობის უნარი შეხვედა მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ნამდვილად რევოლუციური კლასის ავანგარდია და შედგება სავსებით შეგნებული და ერთგული კომუნისტებისაგან, რომლებიც განსწავლული და გამოწრთობილი არიან თავდადებული რევოლუციური საქმიანობის გამოცდილებით, პარტიას, რომელმაც შეძლო განუხრელად დაკავშირებოდა მშრომელთა მთელ მასას და ამ მასისათვის შთაენერგა ხრული ნდობა. ჩვენი პარტია, რომელსაც ასეთი თვისებები აქვს, კანონზომიერად არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე საზოგადოების რევოლუციური გადასვლის წამყვანი ძალა.

კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლსა და დიად სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა პროცესში გამოწრთობილი მუშათა კლასის პარტია განვითარებული სოციალიზმის პირობებში მთელი საბჭოთა ხალხის საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური ბელადი გახდა. მასში ხორცშესხმულია ყოველივე ის საუკეთესო, რაც ხალხს აქვს — მისი საბრძოლო რევოლუციური სულისკვეთება, შემოქმედებითი ენერგია, სიბრძნე.

ჩვენი კომუნისტთა თექვსმეტმილიონიანზე მეტი არმიის ძალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა რევოლუციური მემკვიდრეობითობა მის პოლიტიკასა და საქმიანობაში. პარტია განუხრელად ასრულებს ლენინის ანდერძს, რომელიც საგანგებოდ უსვამდა ხაზს „პარტიული განვითარების საქმეში მემკვიდრეობითობის გიგანტურ მნიშვნელობას“. პარტიული ცხოვრებისა და მშენებლობის ლენინური ნორმები, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, რომლებმაც სამი მეოთხედი საუკუნის მანძილზე გაუძლო ყოველმხრივ შემოწმებას, იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განვითარების ურყევი საფუძველი. ამ საფუძველზე იგი აშენებს, თავის უდიდეს ორგანიზატორულ, პოლიტიკურ და თეორიულ მუშაობას, რომელიც სოციალური ცხოვრების, საშეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროს მოიცავს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც მეცნიერული კომუნიზმის პარტიაა, მუდამ იმარჯვებდა და იმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმი მოძღვრებისადმი ერთგულებით, დღენიადაგ ამდიდრებს და ავითარებს მას. რევოლუციური თეორია, ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ შემდგომ შემოქმედებითს განვითარებას პოულობს სკკპ ყრილობებში, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, გადაწყვეტილებებსა და სხვა პარტიულ დოკუმენტებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომებში.

დაუშრეტელია ჩვენი პარტიის იდეური და ორგანიზაციული ძლიერების, თავისი დიადი საქმის სიმართლის რწმენის, კომუნისტური იდეალების განხორციელებისადმი მისი მისწრაფების წყარო. აღნიშნა რა ეს თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავზე შესახებ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენს პარტიას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ თავისი ისტორიული პასუხისმგებლობის სამალლეზე იდგეს. ჩვენ შთაგვაგონებს მაღალი მიზანი — ხალხის კეთილდღეობა. ჩვენ გვაქვს ახალი ცხოვრების მშენებლობის მდიდარი, მრავალი წლის გამოცდილება. ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელოა მარქსიზმ-ლენინიზმი — მეცნიერება, რომელმაც შეიხსნა ადამიანობის ბედნიერების ყველა მიღწევა. ჩვენ გვწამს ჩვენი ძალები“.

თავისი ძალების, განვითარებული სოციალიზმის უდიდესი შესაძლებლობების მტკიცე რწმენით არის გამსჭვალული პარტიისა და ხალხის მთელი ბრძოლა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესრულებისათვის, მუშობის ეფექტიანობისა და ხარისხის ყოველმხრივ ამაღლებისათვის. ამ ბრძოლის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა რეალიზაცია, ისევე როგორც პარტიის ყველა გეგმის რეალიზაცია, საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

პარტიის ლენინური კურსი, მისი ტრადიციები გულისხმობს ინტერნაციონალისტური საერთაშორისო პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებას. ასეთი პოლიტიკა დღეს მიზნად ისახავს შექმნას სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის ხელშემწყობი გარეშე პირობები. განმტკიცოს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმე. საბჭოთა კომუნისტები, როგორც ნამდვილი ინტერნაციონალისტები, სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდესი გამოცდილება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის კუთვნილება გახდა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით შობილ ჩვენს პარტიას კვლავ მაღლა უჭირავს ეს დროშა.

რსდმპ მეორე ყრილობის ხამოცდამეთხუთმეტე წლისთავი ახალგაზრდა ისტორიული თარიღია. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ამ თარიღს აღნიშნავენ, კვლავ გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ლენინური პარტიისადმი, ერთსულოვან გადაწყვეტილებას მტკიცედ მიაღწიონ მისი ნაკადი ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

ᲞᲐᲥᲢᲘᲠᲘᲐᲒᲓᲐ 29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1978 წლის პირველი ნახევრის რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების 1978 წლის პირველი ნახევრის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სამინისტროთა და უწყებათა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
კვების მრეწველობის სამინისტრო — მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	კვების მრეწველობის სამინისტრო
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო — ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო
დამზადების სამინისტრო — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	დამზადების სამინისტრო
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	„საქსოფლტექნიკა“
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო — საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
ექიმრობა — ეაჭრობის სამინისტრო	ვაჭრობის სამინისტრო
მშენებლობის სამინისტრო — სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	სასოფლო მშენებლობის სამინისტრო
სატყეო მეურნეობის სამინისტრო — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	სატყეო მეურნეობის სამინისტრო
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველო	საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო
ელექტრული — „საქმთავარენერგო“	„საქმთავარენერგო“
„საქმიდროენერგომშენი“ — „საქმთავარმონტაჟსპეცმშენი“	„საქმიდროენერგომშენი“ „საქმთავარგაზი“
„საქმთავარგაზი“ — „საქნავთობმომარაგებისლიება“	

საავტომობილო გზების სამინისტროსა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შორის გამარჯვებული არ გამოვლენილა. იმის გამო, რომ არც ერთ სამინისტროს არ შეუსრულებია კაპიტალური მშენებლობის მაჩვენებლები: ასევე არ გამოვლენილა გამარჯვებული საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და ამიერკავკასიის რკინიგზას შორის იმის გამო, რომ არც ერთ უწყებას არ შეუსრულებია ტვირთბრუნვისა და გზაგვართბრუნვის მაჩვენებლები.

საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
ასსრ ავტონომიური ოლქი	
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ	აჭარის ასსრ
ქალაქები:	
ეჯიბრებიან:	**გამარჯვებულნი:**
გორი — ცხინვალი	ცხინვალი
ფოთი — ზუგდიდი	ფოთი
ქუთაისი — რუსთავი	რუსთავი
ეჯიბრებიან:	**გამარჯვებულნი:**
ჭიათურა — ტყიბული	ჭიათურა
ტყვარჩელი — ტყიბული	ტყიბული
რაიონები:	
ეჯიბრებიან:	**გამარჯვებულნი:**
აბაშის — ონჩაჩირის	აბაშის
ასპინძის — შუახევის	ასპინძის
მესტიის — ორჯონიკიძის	მესტიის
სამტრედიის — ხაშურის	ხაშურის
დმანისის — დუშეთის	დმანისის
გალის — თერჯოლის	თერჯოლის
გუდაუთის, — ცხაკაიას	ცხაკაიას
ზუგდიდის — მახარაძის	მახარაძის
ყაზბეგის — ლენინგორის	ყაზბეგის
მცხეთის — ბოლნისის	ბოლნისის
გარდაბნის — წითელწყაროს	გარდაბნის
ამბროლაურის — საჩხერის	საჩხერის
თიანეთის — წალკის	წალკის
ეჯიბრებიან:	**გამარჯვებულნი:**
ყვარლის — ვანის	ვანის
ფულაურის — მარნეულის	მარნეულის
თელავის — ზესტაფონის	ზესტაფონის
ახალციხის — ქობულეთის	ქობულეთის
ხობის — სიღნაღის	ხობის
წალენჯიხის — ლაგოდეხის	ლაგოდეხის
ლენტეხის — ახმეტის	ლენტეხის
ცხინვალის — წულუკიძის	ცხინვალის
გულრიფშის — ქედის	ქედის
ქობულეთის — ქ. გაგრის ზონა	ქობულეთის

(დასასრული მე-2 გვ.).

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ



ᲕᲘᲗᲔᲚᲓᲦᲝᲕᲐᲜᲘ

შავი ზღვის ფლოტი. ფლოტის ნაწილებსა და გემებზე მიმდინარეობს საბრძოლო სწავლება. მეზღვაურები ბეჭითად ეუფლებიან თანამედროვე ტექნიკასა და შეიარაღებას, იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას.

სურათზე: დიდი წყალქვეშა ნავების ხაწინააღმდეგო ხომალდის „კრასნი კრიმის“ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულთა ერთი ჯგუფი.

(საქმესის ფოტოქრონიკა).

სამხედრო მეგზღვაურთა პატივსაცემად

28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებისა და მოსკოვის გარნიზონის მეომრების საზეიმო კრება, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. პ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. მ. პეგოვი, ნ. ი. სავინკინი, გემთმშენებლობის მრეწველობის მინისტრი მ. ვ. ეგოროვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ — საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალმა ს. გ. გორშკოვმა.

კრების მონაწილეებმა ტაშის გრიალით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საქმესი).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანიზებული კომპლექსის ფრენის ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი:

მუშაობა ღია კოსმოსში

„სალუტ-6“-„სოიუზ-29“-„პროგრეს-2“ ორბიტულ კომპლექსში წარმატებით განხორციელდა ახალი მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტი.

ფრენის პროგრამის შესაბამისად 1978 წლის 29 ივლისს კოსმონავტები ვ. ვ. კოვალიონოკი და ა. ს. ივანჩენკოვი კოსმოსურ სივრცეში გავიდნენ.

ღია კოსმოსში გასვლის მიზანია სადგურის გარე ზედაპირზე დადგმული სამეცნიერო აპარატურის დემონტაჟისა და ნაწილობრივი შეცვლის სამუშაოები. ამ აპარატურის საშუალებით 10 თვის განმავლობაში კოსმოსურ სივრცეში სადგურის გაყვანის მომენტიდან სრულდებოდა ექსპერიმენტები. მიკრომეტეორული მდგომარეობის შესწავლისა და სხვადასხვა მასალის თვისებაზე კოსმოსური გარემოს გავლენის კვლევისათვის.

ღია კოსმოსურ სივრცეში გასვლა და მუშაობა რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა. გადასახსნელელ ნაკვეთურში კოსმონავტებმა ჩაიცვეს სკაფანდრები, შემდეგ მოახდინეს ნაკვეთურას გაჰერმეტიზება და 7 საათზე მოსკოვის დროით გახსნეს კოსმოსში გასვლისათვის განკუთვნილი ლუკი.

ბორტინჟინერი ივანჩენკოვი სადგურიდან გავიდა ღია კოსმოსურ სივრცეში და მუშაობის ჩასატარებელ ზონაში დამაგრდა. სპეციალური ინსტრუმენტების საშუალებით მან შეასრულა გათვალისწინებული სადემონტაჟო ოპერაციები. ეკიპაჟის მეთაური კოვალიონოკი ივანჩენკოს ეხმარებოდა და გადასატანი ფერადა სატელევიზიო კამერით დედამიწაზე გადმოსცემდა სადგურის ელემენტების გამოსახულებასა და სადგურს გარეთ ბორტინჟინრის მოქმედებას.

ეკიპაჟმა სადგურში გადაიტანა მიკრომეტეორების რეგისტრაციის სისტემის ერთ-ერთი ხელსაწყო, პოლიმერული, ოპტიკური და სხვა კონსტრუქციული მასალებით სავსე კასეტები, რომლებსაც იყენებენ პერსპექტიული კოსმოსური აპარატების შექმნისას, აგრეთვე ბიოპოლიმერებიანი კასეტების ბლოკი. სადგურის გარე ზედაპირზე კოსმონავტებმა მოთავსეს კოსმოსური გამოსახვებისა რეგისტრაციისათვის განკუთვნილი აპარატურა.

კოსმოსში გასვლის პროცესში მათ განაგრძეს ნახევრად ხისტი ტიპის სკაფანდრებისა და მათი სისტემების შემდგომი გამოცდა, ღია კოსმოსში მოქმედების დახვეწა, აგრეთვე შეამოწმეს ის კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც განკუთვნილია მოხერხებული მოძრაობისა და სადგურის გარე ზედაპირზე ფიქსაციისათვის. ორბიტას ჩრდილიან ნაწილში სადგურის ფრენის დროს გამოიყენეს გადასატანი სანათები.

ღია კოსმოსურ სივრცეში და განჰერმეტიზებულ გადასასვლელ ნაკვეთურში ყოფნის მანძილზე სკაფანდრებმა და ყველა სისტემებმა უზრუნველყო კოსმონავტთა მუშაობის კომფორტული პირობები და მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტების დასახული პროგრამის სრული მოცულობით შესრულება.

ღია კოსმოსურ სივრცეში ყოფნისას კოსმონავტებმა მოაწყვეს სატელევიზიო რეპორტაჟი.

ღია კოსმოსურ პირობებში კოსმონავტთა ყოფნის საერთო დრომ 2 საათი და 05 წუთი შეადგინა.

ხამუშაოთა დამთავრების შემდეგ კოსმონავტები დაბრუნდნენ გადასასვლელ ნაკვეთურში და დახურეს ლუკი. შემდეგ მათ გადასასვლელ ნაკვეთურში მოახდინეს ჰაერის ჩაბერვა ნორმალურ წნევამდე, გაიხადეს სკაფანდრები და გადავიდნენ სადგურის ძირითად სათავსში.

ამხანაგები კოვალიონოკი და ივანჩენკოვი ღია კოსმოსური სივრცის პირობებში ყოფნის შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

სადგურის გარე ზედაპირზე მოხსნილ მასალებსა და დამლილ აპარატურას ჩამოიტანენ დედამიწაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხაკოსმურ სტრუქტურო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებში შემდგომი კვლევისათვის.

წარმატებით დამთავრებული კოსმოსური ექსპერიმენტი მოწმობს კოსმონავტთა მიერ სადგურს გარეთ შეხრულებული სამუშაოების ეფექტიანობას და სახავს იმის ფართო შესაძლებლობებს, რომ ღია კოსმოსური სივრცე გამოყენებულ იქნეს პერსპექტიული ორბიტული კომპლექსებით მეცნიერული კვლევის გაფართოებისათვის.

ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

თერჯოლელ მევენახეთა შემართება

თერჯოლა. ბოლო ხანებში სასწაულები მოახდინეს აქაურმა მევენახეებმა. თითქმის ორჯერ გაზარდეს ყურძნის მოსავალი და გაამენეს 950 ჰექტარი ახალი ზვარი.

ხორცს ისხამს აქაურ ხელმძღვანელთა არც თუ ხუმრობით ნათქვამი: თერჯოლა დასავლეთ საქართველოს გურჯაანად უნდა იქცეთო. შესაშური ენთუზიაზმი, საქმის დიდი სიყვარული იგრძნობა ყველა მევენახის შრომაში.

წელს პირველად დაინერგა ბიოლოგიური პრეპარატებით მკურნალობა. კერძოდ, გამოიყენეს ყურძნის ჭიის საწინააღმდეგო „ენტობაქტერინი“. უამინდობამ დიდი შრომა მოითხოვა ყურძნის მოსავლის შენარჩუნებისათვის. ზვრებში ნიადაგი დამუშავდა ხამჯერ, ბორდოს სითხით და ცინებით წამლობა ჩატარდა 7-ჯერ, მწვანე ოპერაციები — ხამჯერ.

— რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ვ. დიაკონიძემ, — მეოთხე წელია რაც შეიქმნა, მაგრამ წლეულს 1.580 ტონის ნაცვლად 2.000 ტონა ყურძნს მიეყიდით სახელმწიფოს. ახლა ჩვენთან 237 ჰექტარი ახალშენი ვენახი არის, უახლოეს წლებში ორჯერ გავზრდით მოსავალს.

კარგ დაპირებებს იძლევიან აგრეთვე თუზის, ხაბანოს, ალიხუბნის კოლმეურნეობათა თავკაცები და ამ სოფლების მშრომელები.

პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბურჯანაძემ თქვა:

— თერჯოლელ გლეხკაცს უკვე მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს. წელს ამოცანა ძალზე სერიოზული გვაქვს დასახული. წინათ დაპირებული 21.500 ტონის ნაცვლად წლეულს სახელმწიფოს აუცილებლად მივყიდით 23.500 ტონამდე ყურძენს.

ამ საერთო კარგ ფონზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის იმ ბრიგადების ნაკლოვანებანი, რომლებსაც ა. აბულაძე, და ზ. მაჩინიძე ხელმძღვანელობენ. მათ ვენახებში მეორედ არ დამუშავებულა 5 ჰექტარი, განენილია ყურძნის ნაცრის ჯერები. ასეთი შენიშვნები შეიძლება გამოითქვას სიმონეთელი, გოდოგნელი, ნახშირღელელი მევენახეების მიმართაც.

ვენახების დათვალიერებაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე.

Ო. ᲜᲘᲪᲐᲒᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

„დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ მედლის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს მედალი „დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“.

2. დამტკიცდეს დებულება „დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ მედლის შესახებ.

3. დამტკიცდეს „დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ მედლის აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 28 ივლისი.

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

„დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ მედლის შესახებ

1. მედლით „დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ ჯილდოვდებიან დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარების აქტიური მონაწილენი, რომლებიც თავდადებით მუშაობენ ნავთობისა და გაზის სადადების გამოვლენის, დაზვერვისა და დამუშავებისათვის, ნავთობის და გაზის მოპოვებისა და სამრეწველო გადამუშავებისათვის, საწარმოო და საბინაო-სამოქალაქო ობიექტების, სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობისათვის, ნავთობგაზის კომპლექსის წარმოებათა ენერგომომარაგების, სატრანსპორტო და სხვა მომსახურებისათვის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, არასაწარმოო სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ნავთობგაზის კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაკები, რომლებმაც კეთილსინდისიერი შრომით წვლილი შეიტანეს მის განვითარებაში.

მედლით ჯილდოვდებიან მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დასავლეთ ციმბირის ნავთობგაზის კომპლექსის რაიონებში მუშაობენ როგორც წესი, სულ ცოტა სამ წელიწადს.

2. „დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ მედლით მუშა-მოსამსახურეებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჯილდოებს რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. შუამდგომლობას „დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ მედლით დაჯილდოების შესახებ აღძრავს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ადმინისტრაცია შრომითი კოლექტივების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, აგრეთვე რაიონულ, საქალაქო პარტიულ, საბჭოთა ორგანოებთან ერთად.

4. წარდგინება მედლით დაჯილდოების შესახებ რუსეთის სფსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვთ სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა საწარმოები და ორგანიზაციები ეწევიან წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარების სამუშაოებს, აგრეთვე ტიუმენისა და ტომსკის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

5. მედალს „დასავლეთ ციმბირის წიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ აღარებენ მეერდის მარცხენა მხარეზე და ადგენენ „რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადგილი ზონის გარდამქმნისათვის“ მედლის შვმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

რსდმპ II ყრილობის 75-ე წლისთავი

საინტერესო გამოფენა



თბილისი. ლამაზად გაფორმებული სტენდი, 12 პლანშეტი, რომლებზეც 200-მდე ხელოვნური დოკუმენტია განლაგებული, საინტერესოდ გვიამბობს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის გახსნის ისტორიულ თარიღთან დაკავშირებულ ამბებს.

ეს გახლავთ მოძრავი გამოფენა, რომელიც პარტიის მეორე ყრილობის 75-ე წლისთავის აღსანიშნავად მოაწყო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი თბილისის ფილიალის კოლექტივმა. გამოფენამ საქართველოს ბევრი ქალაქი და რაიონი მოიარა.

უკანასკნელ თვეებში იგი დათვალიერეს ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ასპინძის და ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონების მშრომელებმა.

ამჟამად მოძრავი გამოფენა მუზეუმის ფილიალში დაბრუნდა. მას ყოველდღიურად მრავალრიცხოვანი დამთვალიერებელი ჰყავს.

სურათზე: ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი. რსდმპ II ყრილობის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის ექსპონატებთან.

ვლ. ბინნაშვილის ფოტო.

ლენინური პარტიის ისტორიული გზა

რსდმპ მეორე ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში.

ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ისაა, რომ აქ, ამ ყრილობაზე შეიქმნა ახალი ტიპის პროლეტარული რევოლუციური პარტია, ბოლშევიკების პარტია. ლენინი წერდა: „ბოლშევიზმი როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“.

მას შემდეგ 75 წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე მსოფლიოში ბევრი ცვლილება მოხდა. გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ და დაიწყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, კაცობრიობა იმპერიალიზმის მსხვრევისა და მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის დამყარების ეპოქაში შევიდა.

ამ დიად ცვლილებათა საწყისი პარტიის მეორე ყრილობიდან მოდის. ეს მან აქცია საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის რევოლუციური თეორია რევოლუციურ პრაქტიკად და „ქით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა“ იმ მსოფლიო ისტორიულ მოვლენებს, რომელთა მოწმენი და მონაწილეები დღეს ჩვენ ვართ.

პარტიის მეორე ყრილობა იმ დროს ჩატარდა, როცა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. დადგა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქა. რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში გადმოვიდა. რუსეთის პროლეტარიატი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმი გახდა.

მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოებრივ განვითარებას განიხილავს, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომელსაც განსაზღვრავს ობიექტური კანონზომიერება და ანხორციელებს. მასების, კლასების, პარტიების, ცალკეულ მოღვაწეთა საქმიანობას. კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში მარქსმა პირველმა შეიმუშავა დამაჯერებელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის თეორია და მისი დედაარსი ასე გამოთქვა: „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად **განმარტავდნენ** სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი **შეცვლილ იქნეს**“.

მარქსმა უარყო ისტორიული იდეალიზმი და ხაზი გაუსვა ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებას, რომ კაცობრობა ყოველთვის მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაწყვეტა მას შეუძლია, რადგან თვით ამოცანა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მატერიალური პირობები მისი გადაწყვეტისათვის უკვე არსებობს.

ლენინმა იმპერიალზმის ეპოქაში, როცა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა მოწიფდა პროლეტარიატის სოციალური რევოლუციისათვის, ამხილა ეკონომიკური მატერიალზმი და ხაზი გაუსვა სუბიექტური ფაქტორის გადამწყვეტ როლს, რამდენადაც მხოლოდ მას ძალუძს გამარჯვების შესაძლებლობა სინამდვილედ აქციოს.

ლენინი წერდა: „მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს“ და შემდეგ იქვე: „მოწინავე როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“.

ამიტომ იყო, რომ ლენინის ყურადღებისა და მოქმედების ცენტრში დადგა პარტიის შექმნა მაშინ, როცა ის-ის იყო იწყებოდა მუშათა რევოლუციური მოძრაობა რუსეთში. მან შეიმუშავა მოძღვრება ახალი ტიპის, პროლეტარული, რევოლუციური პარტიის შესახებ. ლენინს პარტია წარმოდგენილი ჰქონდა როგორც პროლეტარიატის მოწინავე, შეგნებული და ორგანიზებული რაზმი, პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მუშათა კლასის თვითგამორკვევას, რომ მან შეიგნოს და შეასრულოს თავისი ისტორიული მოწოდება. პარტია იდეურ და ორგანიზაციულ ერთობას ასახიერებს. „პროლეტარიატს, წერდა ლენინი, შეუძლია გახდეს და იგი გარდუვალად გახდება კიდეც უძლეველ ძალად. მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მარქსიზმის პრინციპებით მის იდეურ გაერთიანებას განამტკიცებს მატერიალური ერთობა ორგანიზაციისა“.

პარტიის პროგრამაში მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ, მცირე ერებმა თავიანთი სურვილებისა და მისწრაფებების გამოხატულება ჰპოვეს. ცარიზმის დამხობა და ქვეყნის დემოკრატიზაცია, სოციალისტური რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა — აი რას მოითხოვდა და რისთვის იწყებდა ბრძოლას ბოლშევიკების პარტია. ამიტომ იყო, რომ იგი ერთადერთი პარტია აღმოჩნდა, რომლის თეორია და პრაქტიკა, პროგრამა და ტაქტიკა სავსებით პასუხობდა რუსეთის ხალხების საარსებო ინტერესებს.

ბოლშევიკების პარტიის შექმნით დაიწყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი. იგი შემობრუნების უნაკლო გახდა მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

მეორე ინტერნაციონალის პარტიები პოლიტიკურ სარბიელზე მაშინ გამოვიდნენ, როცა კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარებისა და მუშათა კლასის ბრძოლების ხანა იდგა. მათი მოღვაწეობა იმ დროს დაემთხვა, როცა სოციალისტური რევოლუციის ეპოქა ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი.

რევოლუციურ ეპოქაში მეორე ინტერნაციონალის პარტიები და მათი მშვიდობიანი დროის ბელადები, რომლებიც ახალ მოთხოვნებს ვერ უპასუხებდნენ, შეცვალა ახალი ტიპის ბოლშევიკურმა პარტიამ, რომელსაც სათავეში ახალი, უმაღლესი ტიპის ბელადი ედგა, „ლენინი იყო უდიდესი მეცნიერი რევოლუციაში და რევოლუციონერი მეცნიერებაში“. ლენინური პარტია სათავეში ჩაუდგა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის თეორიულ და პრაქტიკულ ბრძოლას.

ბოლშევიზმი წარმოიშვა და განვითარდა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. ლენინმა ჯერ ნაროდნიკებთან ბრძოლაში რევოლუციონერებს მოუქმედებისა სწორი გზა აუჩინა, ხოლო შემდეგ „ეკონომისტების“ წინააღმდეგ გალაშქრებისას გაარკვია რევოლუციურ მოძრაობას თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგა არჩეულ გზაზე. ლენინმა ამხილა საერთაშორისო ოპორტუნიზმის ნაირსახეობა — მენშევიზმი და უზრუნველყო შექმნა და განმტკიცება რევოლუციური პარტიისა მარქსიზმის „გრანიტისებრ თეორიულ ბაზაზე“.

ეს პირველად მოხდა მუშათა მოძრაობის ისტორიაში, მშრომელი მასების მარქსისტული პარტიის მეთაურობით რომ გამოვიდნენ ბოძთალა ველზე და ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია განახორციელეს. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა ოქტომბრის რევოლუციით შეასრულა თავისი მსოფლიო-ისტორიული განმათავისუფლებელი მისიის კრიტიკული, ნგრევითი ამოცანა და შეუდგა ახალი, შემოქმედებითი აღმშენებლობითი მიზანდასახულებათა შესრულებას.

საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის თეორია კომუნიზმის პრაქტიკად აქცია, დასაბამი მისცა კომუნისტურ ფორმაციას და საზოგადოების წინისტორიიდან ნამდვილ ისტორიაზე გადასვლას. საბჭოთა ქვეყანა, სოციალისტური სამყარო განსაზღვრავს კაცობრიობის პროგრესის მიმართულებას და გზას უხსნის ახალი კომუნისტური ტიპის ცივილიზაციას.

ლენინური პარტიის უდიდესი მსოფლიო — ისტორიული დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა გაიკვალა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლის შარაგზა და ახალი გამოცდილებით გამდიდრა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება სოციალიზმის შესახებ.

კომუნისტური პარტიის, როგორც ხელმძღვანელი ძალის ზორილა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდის საკითხი საკვანძო პუნქტი გახდა მეცნიერულ კომუნიზმსა და ანტიკომუნიზმს შორის იდეოლოგიურ ბრძოლაში. ანტიკომუნიზმი ცდილობს წინააღმდეგობა აღმოაჩინოს პარტიის როლის აღიარებასა და ისტორიის, როგორც ობიექტური პროცესის გაგებას შორის.

საზოგადოება ობიექტური კანონების საფუძველზე ვითარდება, მაგრამ ეს კანონები ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობაში ვლინდება და მათი ბრძოლით ხორციელდება. ისტორიის მატერიალისტური გაგება ეძიჯნება არა მარტო სუბიექტივიზმს, რომელიც უარყოფს საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, არამედ აგრეთვე ვულგარულ, მკვრეტელობით მატერიალზმს, რომელიც სტიქიურ თვითდინებას მიყვება და არ ითვალისწინებს იმ პარტიის მაორგანიზებელ და გარდაქმნელ როლსა და მნიშვნელობას, რომელსაც შეუძლია რევოლუციური გარდაქმნის ობიექტური პირობები და სათავეში უდგას მასების რევოლუციურ ბრძოლას.

სკკპ XXV ყრილობამ გაამტკიცა ხალხის პარტიისა და კლასის პარტიის ცნების არსი და ამხილა რევიზიონიზმი, რომელიც კომუნისტური პარტიის საბჭოთა ხალხის ავანგარდად გადაქცევას კლასის პარტიის უარყოფად აცხადებს. პარტიამ განაზოგადა კომუნისტური მშენებლობის გამოცდილება და გააკთა დიდმნიშვნელოვანი პრინციპული, თეორიული და პრაქტიკული დასკვნა, რომ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში კომუნისტური პარტია ხალხის პარტია გახდა. ეს მოხდა მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე მშრომელთა ყველა ფენის გადასვლის შედეგად და არა იმიტომ, თითქოს პარტიამ დაკარგა კლასობრივი ხასიათი და კლასთაშორისო ორგანიზაციად იქცა. კომუნისტურმა პარტიამ შეინარჩუნა კლასობრივი ხასიათი და თავისი ბუნებით იყო და დარჩა მუშათა კლასის პარტიად.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა და წარმმართველმა როლმა თავისი ასახვა და კონსტიტუციური განმტკიცება ჰპოვა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში.

კონსტიტუციის ბურჟუაზიულმა კომენტატორებმა ყვირილი მოიყარეს, ეს „სახელმწიფოზე პარტიის პრიმატობის აღიარება“ და „კომუნისტური პარტიის დიქტატურის“ გამოცხადებაა. ეს სიყალბეა. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ნაწილია, მისი შეგნებული ავანგარდი. იგი მუშათა კლასის, მშრომელი მასების მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადია. მან თავისი ავტორიტეტი, ხალხის სრული ნდობა მოიპოვა სწორი, მარქსისტულ-ლენინური თეორიითა და პოლიტიკით, რომელიც მთელი ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

პარტიის ორი ამაღლება განაპირობა არა მარტო კომუნისტური მშენებლობის მასშტაბურობისა და სირთულის ზრდამ, მშრომელთა აღმშენებლობითი საქმიანობის ამაღლებამ, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებამ, საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებამ, არამედ აგრეთვე, იდეოლოგიურმა მოვლენებმა, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემოქმედებითი განვითარების, კომუნისტური აღზრდის, წარსულის გადმონაშთების დაძლევისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილების აუცილებლობამ.

მთავარი, რაც მოიპოვა პარტიის შემოქმედებითმა რევოლუციურ-გარდაქმნელმა საქმიანობამ, კომუნიზმის თეორიამ და პრაქტიკამ — ეს ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნაა. აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და ჩამოყალიბდა საერთო სახალხო სახელმწიფო. განვითარებული სოციალიზმი ნამდვილი დემოკრატიის, რეალური პუბლიციზმის და სოციალური ოპტიმიზმის საზოგადოებაა, საერთო-სახალხო სახელმწიფო ხალხის ხელისუფლებაა. იგი მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს. ჩამოყალიბდა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. იგი სოციალ-კლასობრივი, სოციალისტური და ეროვნებათშორისო ინტერნაციონალური ერთობაა.

ყრილობამ მიიღო პარტიის ეროვნული პროგრამა, რომელიც მოითხოვს „სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას“, ერთა და ეროვნებათა სრულ თანასწორობას, მოსახლეობის უფლებას მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე. მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს და „მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი ენის თანაბრად“.

ბოლშევიკების პარტიამ ლენინური ეროვნული პროგრამა რევოლუციურ პრაქტიკად აქცია. მან შემდგომი დაკონკრეტება და განვითარება ჰპოვა ახალ კონსტიტუციაში. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოვლმხრივი განვითარებისა და დაახლოების პოლიტიკა, მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დედაენისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების ენების გამოყენების შესაძლებლობა.

ყრილობა მიესალმა მოსწავლე ახალგაზრდობას და ურჩია მას თავისი საქმიანობის „პირველ რიგში“ დაეყენოს აკადემიური ჰორიზონტის გაფართოება და მეცნიერული სოციალიზმის დაუფლება. ეს ლენინური დებულება თვითონ მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებს.

პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში დიდ როლს ასრულებენ პოლიტიკური ხელმძღვანელები. მათი პირადი, სუბიექტური მონაცემები, ობიექტური პირობებისა და სუბიექტური წანამძღვრების გათვალისწინებისა და მომწიფებულ ამოცანათა გადაჭრის, მომენტის შერჩევის (ოდნა, უნარი და ძალა.

მარქსი და ენგელსი ხაზს უსვამდნენ ავტორიტეტის მნიშვნელობას მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში. „ცალკეული ვიოლინოს დამკვრელი თვითონ ლოტბარობს, ორკესტრი ლოტბარს საჭიროებს“. (მარქსი) ლენინი მიუთითებდა, რომ „არცერთ კლასს ისტორიაში არ მიუღწევია ბატონობისათვის ისე, რომ არ წამოეყენებინა თავისი პოლიტიკური ბელადები“, რომელთაც აქვთ „საკმარი ცოდნა, საჭირო გამოცდილება, გარდა ცოდნისა და გამოცდილებისა — პოლიტიკური ალღო, რათა სწორადაც და სწორად გადაჭრან პოლიტიკური საკითხები“.

განვითარებული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის ლენინურ ხელმძღვანელობას, გამოჩენილ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ერთგული მარქსისტ-ლენინელის ლ. ი. ბრეჟნევის შემოქმედებით მოღვაწეობას. მისმა პირადმა თვისებებმა ხელი შეუწყეს ლენინური სტილის დამკვიდრებას, პატიოსანებისა და მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნას ქვეყანაში, მშვიდობის საქმის განმტკიცებას მსოფლიოში.

საქართველოს კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ წარმართავენ რესპუბლიკას პარტიის მიერ განსაზღვრული კომუნიზმის მშენებლობის კურსით. ამის განაპირობებს პარტიის სტრატეგიული ამოცანის ღრმა გაგება და ტაქტიკური ხაზის განუხრელად გატარება, რომელიც ითვალისწინებს საერთო საყოველთაო ინტერესებისა და ადგილობრივი თავისებურებების დიალექტიკურ ერთიანობას.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მოვლენა იყო სკკპ XXV ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური და სულიერი განვითარებისა და მისი თანდათანობით კომუნისტურ საზოგადოებად გარდაქმნის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამა, რომელიც წარმატებით ხორციელდება.

რსდმპ მეორე ყრილობის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „აღვნიშნავთ რა ჩვენს მიღწევებს, არ ვივიწყებთ და არასოდეს არ დავივიწყებთ იმას, რომ დასაწყისი გზისა, რომელმაც მიგვიყვანა მწვერვალამდე. რომლებზეც დღეს ავედით, ეს არის რსდმპ II ყრილობა“.

ლ. გორგილაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

აღწერილობა

მედლის „დასავლეთ ციმბირის ფიალის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარების შესახებ“

მედალი „დასავლეთ ციმბირის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ მზადდება თითბრისაგან და აქვს 32 მილიმეტრი დიამეტრის წრეხაზის ფორმა.

მედლის წინა მხარეზე გამოსახულია ნამგალი და ურო ნავთობის ჭაბურღილების, გაზჰოლდერების და მილჩამწყობის ფოსტზე. წრის გაყოლებით მოთავსებულია წარწერა „დასავლეთ ციმბირის წიაღის ათვისებისა და ნავთობგაზის კომპლექსის განვითარებისათვის“ და ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

მედლის უკანა მხარეზე ხუთქიმიანი ვარსკვლავისა და ხუთკუთხედად გაფენტული სხივების ფონზე მოთავსებულია წარწერა „სსრკ“. ქვემოთ გამოსახულია ერთმანეთს გადაჭდობილი დაფნისა და მუხის რტოები.

ყველა წარწერა და გამოსახულება მედალზე ამობურცულია.

მედალს კიდეზე გასდევს ქიმი. მედალი ყუწწითა და რგოლით უერთდება ხუთკუთხა ფირფიტას, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მილიმეტრი სიგანის აბრეშუმის მუაარის ლენტი. ლენტს კიდეებზე გასდევს 6 მილიმეტრი სიგანის ღია მწვანე ზოლები და შუაში — 6 მილიმეტრი სიგანის ცისფერი ზოლი. ღია მწვანე და ცისფერ ზოლებს შუაში გასდევს 1 მილიმეტრი სიგანის თეთრი ზოლი და 2 მილიმეტრი სიგანის შავი ზოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე.

მიფრინავს „კოსმოს-1027“

1978 წლის 27 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1027“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

1978 წლის პირველი ნახევრის რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულნი

(დასასრული).

გამარჯვებულნი არ გამოვლენილან

— აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შორის იმის გამო, რომ აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკამ ვერ შეასრულა ხორცისა და კვერცხის შესყიდვის, აგრეთვე სამრეწველო წარმოების გეგმები, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა ვერ შეასრულა თესვის გეგმა;

— ქალაქებს **ბათუმსა** და **სოხუმს** შორის იმის გამო, რომ არ შეუსრულებიათ სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა-ვალდებულებანი.

რაიონებს შორის:

— **ჯავისა** და **ონის** — იმის გამო, რომ ჯავის რაიონმა ვერ შეასრულა ხორცის შესყიდვის გეგმა და შეამცირა ხორცის შესყიდვის დონე, ონის რაიონმა ვერ შეასრულა ხორცის შესყიდვის გეგმა;

თეთრი წყაროსა და **კასპის** — იმის გამო, რომ თეთრი წყაროს რაიონმა შეამცირა ხორცის შესყიდვის დონე, ხოლო კასპის რაიონმა ვერ შეასრულა ხორცის შესყიდვის გეგმა და შეამცირა ხორცის შესყიდვის დონე;

ბორჯომისა და **ქ. წყალტუბოს** ზონას — იმის გამო, რომ ბორჯომის რაიონმა ვერ შეასრულა მეცხოველეობის შესყიდვის გეგმები და შეამცირა შესყიდვის დონე, ხოლო ქ. წყალტუბოს ზონამ შეამცირა რძის შესყიდვის დონე;

ბოგდანოვკისა და **საგარეჯოს** — იმის გამო, რომ ბოგდანოვკის რაიონმა ვერ შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმები და შეამცირა რძის შესყიდვის დონე, ხოლო საგარეჯოს რაიონმა ვერ შეასრულა რძისა და კვერცხის შესყიდვის გეგმები და შეამცირა რძის შესყიდვის დონე;

— **ჩოხატაურისა** და **ჩხოროწყუს** — იმის გამო, რომ ორცერთ რაიონს არ შეუსრულებია კვერცხის შესყიდვის გეგმები და ჩხოროწყუს რაიონმა შეამცირა კვერცხის შესყიდვის დონე;

გეგეჭკორისა და **ლანჩხუთის** — იმის გამო, რომ გეგეჭკორის რაიონმა ვერ შეასრულა ხორცისა და რძის შესყიდვის გეგმები და შეამცირა რძის შესყიდვის დონე, ხოლო ლანჩხუთის რაიონმა ვერ შეასრულა რძის შესყიდვის გეგმა და შეამცირა რძის შესყიდვის დონე;

— **გორისა** და **ახალქალაქის** — იმის გამო, რომ გორის რაიონმა ვერ შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმები და შეამცირა რძის შესყიდვის დონე, ხოლო ახალქალაქის რაიონმა ვერ შეასრულა ხორცისა და რძის შესყიდვის გეგმები და შეამცირა ხორცისა და რძის შესყიდვის დონე;

— **სოხუმისა** და **ხელვაჩაურის** — იმის გამო, რომ სოხუმის რაიონმა ვერ შეასრულა ხორცისა და რძის შესყიდვის გეგმები და შეამცირა რძის შესყიდვის დონე, ხოლო ხელვაჩაურის რაიონმა ვერ შეასრულა კვერცხის შესყიდვის გეგმა;

— **ცაგერისა** და **მაიაკოვსკის** — იმის გამო, რომ ცაგერის რაიონმა შეამცირა ხორცისა და რძის შესყიდვის დონე, ხოლო მაიაკოვსკის რაიონმა შეამცირა ხორცის შესყიდვის დონე;

— **ადიგენისა** და **ხულოს** — იმის გამო, რომ ადიგენის რაიონმა ვერ შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმები და შეამცირა შესყიდვის დონე, ხოლო ხულოს რაიონმა ვერ შეასრულა ხორცის შესყიდვის გეგმა და შეამცირა ხორცისა და რძის შესყიდვის დონე;

— **ზნაურისა** და **ქარელის** — იმის გამო, რომ ზნაურის რაიონმა ვერ შეასრულა ხორცის შესყიდვის გეგმა და შეამცირა ხორცისა და რძის შესყიდვის დონე, ხოლო ქარელის რაიონმა ვერ შეასრულა რძის შესყიდვის გეგმა და შეამცირა რძის შესყიდვის დონე;

ზემოთჩამოთვლილი რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს დაეკალთა გაანალიზონ ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა, რათა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის იანვლისის პლენუმის გადწყვეტილებათა შესაბამისად რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრან ნაკლოვანებანი ხოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ღრმად გააანალიზონ პირველი ნახევარწლეულის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების შედეგები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

1978 წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და ხახელმწიფოსათვის მიყიდვისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

იმის გამო, რომ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მიიღებოდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმის შესრულება, რაიონები, რომლებმაც ვერ შეასრულეს პირველი ნახევარწლეულის გეგმა მეცხოველეობის რომელიმე პროდუქტის წარმოება-დამზადების მიხედვით, კონკურსიდან გამორიცხნენ.

1978 წლის პირველი ნახევრის გამარჯვებულებად ცნეს რაიონები (ზონების მიხედვით) ადგილების შემდეგი განაწილებით:

პირველ ზონაში:

ლაგოდეხის რაიონი —	პირველი ადგილი
გარდაბნის რაიონი —	მეორე ადგილი
მარნეულის რაიონი —	მესამე ადგილი

მეორე ზონაში:

ბოლნისის რაიონი —	პირველი ადგილი
თეთრი წყაროს რაიონი	მეორე ადგილი
ხაშურის რაიონი —	მესამე ადგილი

მესამე ზონაში:

ახალციხის რაიონი —	პირველი ადგილი
დმანისის რაიონი —	მეორე ადგილი
წალკის რაიონი —	მესამე ადგილი

მეოთხე ზონაში:

ლენტეხის რაიონი —	პირველი ადგილი
ცაგერის რაიონი —	მეორე ადგილი
ქ. ჭიათურა —	მესამე ადგილი

მეხუთე ზონაში:

მაიაკოვსკის რაიონი —	პირველი ადგილი
სარეხის რაიონი —	მეორე ადგილი
თერჯოლის რაიონი —	მესამე ადგილი

მეექვსე ზონაში:

ცხაკაიას რაიონი —	პირველი ადგილი
მახარაძის რაიონი —	მეორე ადგილი
ზუგდიდის რაიონი —	მესამე ადგილი

მეშვიდე ზონაში:

პირველი ადგილი არავის არ მიუთვნებია.

გულრიფშის რაიონი —	მეორე ადგილი
ქობულეთის რაიონი —	მესამე ადგილი

გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია წამახალისებელი ღონისძიებანი.

პირველი ნახევარწლეულის კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს, რომ 1978 წლის პირველ ნახევარში კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნონ:

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხისტემაში

საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული“, თბილისის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანება, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი, ხოსუმის მარმარილოს მადაროსასმამართველო.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სისტემაში

თბილისის სპეცსამონტაჟო სამმართველო „მონტაჟთერმშენარმი“.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში

რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“, № 12 ტრესტი.

მშენებლობის სამინისტროს სისტემაში

№№ 7, 14 სამშენებლო ტრესტები, ქ. ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატი, ტრესტი „მშენინდუსტრია“, საწარმოო გაერთიანება „საშენდეტალი“;

— „ავტომატიკა-ელექტრომშენი“;

— „ენერგოსეტმშენი“.

გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია წამახალისებელი ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის და თავდადებული შრომით საგრძნობ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

(საქინფორმი).

ხუთი ოკეანის ფლოტი

ფლოტის ადმირალი.

ვ. კასატონოვი

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩვენი ქვეყნის ხახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. მან საბჭოთა არმიასთან ერთიან საბრძოლო მწყობრში განვლო სახელოვანი საბრძოლო გზა.

მსოფლიოში მოვლენათა ომისშემდგომმა განვითარებამ ჩვენი ქვეყანა თავისი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობის წინაშე დააყენა. იმპერიალისტური ქვეყნების, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების გამალებული შეიარაღება და ფართო საომარი სამზადისი, მათ მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში გაჩაღებული მრავალრიცხოვანი ომები და სამხედრო კონფლიქტები, „ცივი ომი“, ატომური იარაღის გამოყენებით დამუქრება „კომუნიზმის უკუგდებისა და განადგურებისათვის“ ისევ და ისევ აიძულებს ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებულ საფუ

საერთაშორისო ცხოვრება

ქლაჭლიო ღღეს ⊕ ქლაჭლიო ღღეს ⊕ ქლაჭლიო ღღეს ⊕

- □ მუშაობდა უნივერსალური საერთაშორისო კონვენცია
- □ პორტუგალიაში კვლავ დაძაბულობაა
- □ ამერიკის პროვოკაციული მანევრი ლიბანში

მნიშვნელოვანი შეთანხმება

ჟენევა, 29 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიამ დამთავრა შემუშავება მეტად მნიშვნელოვანი დებულებებისა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ერისადმი უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ.

კომისიის თითქმის სამთვიანი 30-ე სესიის შედეგად, რომელიც ეხებოდა ერთი სასახლეში დამთავრდა, მოიწონეს ოცდაათი მუხლის პროექტები, რომლებიც ახლა დასამტკიცებლად გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას. ამის შემდეგ ეს მუხლები საფუძვლად დაედება უნივერსალურ საერთაშორისო კონვენციას ამ საკითხზე.

მუშაობა დამთავრა საერთაშორისო სამართლის კომისიამ

□

სულ მათ დამუშავებას კომისია მოუნდა თერთმეტ წელს. პროექტებში განსაზღვრულია ერისადმი უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი და ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ურთიერთობაში მისი გამოყენების ზოგადი წესები. ამ რეჟიმის გამოყენება ნიშნავს, რომ მის ურთიერთშემოღებაზე შეთანხმებული მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ამით უზრუნველყონ ერთმანეთისადმი არანაკლებ ხელშეწყობი პირობები, ვიდრე ის პირობები, რომლებსაც ისინი რომელიმე მესამე ქვეყანას ანიჭებენ. იგი არის ეკონომიკური და სხვა დარგებში სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი და არადისკრიმინაციული ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება.

საერთაშორისო სამართლის კომისიაში შედის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საბჭოთა კავშირის 25 თვალსაჩინო იურისტი. კომისიის ამოცანაა შეიმუშაოს უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო შეთანხმებათა პროექტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დავალებათა შესაბამისად, ხელი შეუწყოს გენერალურ ასამბლეას ამ დარგში და საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებაში.

ინდონეზია—ჩინეთის ურთიერთობის გამო

სინგაპური, 28 ივლისი. (საკდესი). ადგილობრივმა გაზეთმა „სტრეიტს ტაიმსმა“ დაბეჭდა ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. კუსუმაატმაჯას ინტერვიუ. შეეხო რა პეკინთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხს, მ. კუსუმაატმაჯამ აღნიშნა, რომ მანამდე ინდონეზიის მთავრობამ უნდა გადაჭრას მთელი რიგი პრობლემები, რომელთაგან ყველაზე რთულია ინდონეზიაში მცხოვრებ ჩინელთა აღრიცხვა და მათი თანამოქალაქეობრობის საკითხის მოწესრიგება. ასეთი ღონისძიებების განხორციელება, მინისტრის თქმით, მოითხოვს გარკვეულ დროს, ამიტომ ვერ ვიტყვით, როდის მოხდება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა.

ეს ინტერვიუ, როგორც ადგილობრივ საინფორმაციო წრეებში მიიჩნიეთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების მიმართ პეკინის ხელმძღვანელობის ჰეგემონისტური პოლიტიკით შეწუხებული ინდონეზია არ ჩქარობს კონკრეტული ნაბიჯი გადადგას ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე.

კუბა—ფესტივალის მასპინძელი

ზეიმებს სიჭაბუქე

სადღესასწაულო ჰავანა მორთულია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის დროშებით. გულთბილად, ძმურად შეხვდა თავისუფლების კუნძულის ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის წარგზავნილებს. სხრ კავშირის დელეგაციის საფესტივალო სოფელში გაიმართა საბჭოთა და კუბელი ახალგაზრდობის საზეიმო მიტინგი.

სურათზე: საბჭოთა კავშირის დელეგაცია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე.

საკდესის ტელეფოტო.

ლიბანი

საშიში შეთქმულება

ბეირუთი, 28 ივლისი. (საკდესი). ლიბანის დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში კვლავ საგანგაშო და დაძაბული ვითარებაა.

ლიბანის ხელმძღვანელობის მეკავლინეობას ნორმალური კალაპოტში ჩაყენოს მდგომარეობა აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ მემარჯვენე ძალები, მათ შორის, ოჯახ „ფალანგის“ ლიდერი ბ. სოარეს ამჟერად გაცილებით რთულ ვითარებაში მოუწევს ახალი მთავრობის შედგენა.

რა იმალება პორტუგალიის მთავრობის მორიგი კრიზისის მიღმა? 13 ივლისს მიცემულ ინტერვიუში სოარეშმა კითხვაზე — არსებობს თუ არა ქვეყანაში მემარჯვენე გადატრიალების საფრთხე? უპასუხა, „საფრთხე არსებობს, უპირველეს ყოვლისა, მემარჯვენე ძალების მხრივ, რომლებმაც უკანასკნელ ხანს კვლავ თავი აიჩვენეს“. მეორე დღეს კი ლისაბონის ტელევიზიით გამოსვლისას მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ კარნეირუმ ოფიციალურად მოითხოვა „ეროვნული ხსნის“ მთავრობის შედგენა ყველა მემარჯვენე და რეაქციული პარტიის წარმომადგენლობით. შექმნილ ვითარებაში მთავრობის კრიზისს უშუალო მიზეზად მაინც მოკავშირეთა — სოციალისტთა და სოციალ-დემოკრატიულ ცენტრისტთა შორის განხეთქილება იქცა. ეს უკანასკნელნი კატეგორიულად მოითხოვდნენ ორი სოციალისტი მინისტრის (სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის და ჯანმრთელობის დაცვის) ლ. საიაშისა და ა. დუარტე არნუს გადაყენებას. საიაშს ეგრეთ წოდებული ბარეტუს კანონის არაეფექტიანად განხორციელებას აბრალებენ, რომელიც ძველი მეპატრონეებისათვის მიწების დაბრუნებას ითვალისწინებს, ხოლო არნუმ რეაქციის რისხვა გამოიწვია ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის შექმნის კანონპროექტით.

ორი მინისტრის წინააღმდეგ კამპანია იმდენად ინტენსიური იყო, რომ პრემიერი სოარეშ ორჯერ იძულებული გახდა ოფიციალურად უარეყო მთავრობას რეორგანიზაციის პროგნოზები. ყველასათვის ცხადი იყო, რომ საქმე ეხებოდა არა იმდენად პიროვნებებს, რამდენადაც მემარჯვენე ძალების მორგ გაძლიერებას სოციალისტური პარტიის ხარჯზე. როდესაც პრემიერმა უარყო სოციალ-დემოკრატიული ცენტრას ულტიმატუმი საიაშის გადაყენების თაობაზე, ეს უკანასკნელი გამოვიდა კოალიციიდან და ამით მთავრობის კრიზისი სინამდვილედ იქცა.

ქვეყნის დემოკრატიული ძალების აზრით, კრიზისი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის კურსის პირდაპირი შედეგია. მაშინ, როდესაც შექმნილი ვითარება, მთელი დემოკრატიული ძალების გაერთიანებას მოითხოვს, სოარეში ჯიუტად ადგას კომუნისტთა იზოლაციის ტაქტიკას, რის გამოც მას სისტემატურად აკრიტიკებდნენ და აკრიტიკებენ როგორც მარჯვნიდან, ასევე მარცხნიდან.

ამრიგად, პორტუგალია კვლავ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა და მხოლოდ ახალი მთავრობის შემადგენლობა ცხადყოფს, მოხდა თუ არა მორიგი ძვრა მარჯვნივ.

ს. ციხცაძე,
პოლიტიკური მიმოხილველი.

მოლაპარაკება გაიმართება

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობა

ჰანოი, 28 ივლისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰანოის საელჩოს წარმომადგენლის უწყება, რომ ჩინეთის მთავრობა თანახმაა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა დონეზე განიხილოს საკითხები, რომლებიც ეხება ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრები ჩინური ეროვნების პირებს. მოლაპარაკება დაიწყება 8 აგვისტოს ჰანოიში ვიეტნამის მხარის წინადადების შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით ჩინეთის მხარემ წინადადება შეიტანა დროებით შეწყდეს ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლთა მოლაპარაკება. ვიეტნამის მხარე ამას დაეთანხმა.

ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლმა, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, აგრეთვე განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა თავის ნავსადგურებში დაადებინოს ორი გემი, რომლებიც ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ნაპირისაკენ გაგზავნა ჩინური ეროვნების პირთა გაყვანისათვის და დღემდე ღია ზღვაში იმყოფებოდნენ.

ბოლივია—ფესტივალის მასპინძელი



ჩირაღდანი პინთო

ჰავანა, 29 ივლისი. (საკდესის კორ.). სადღესასწაულოდ არის მორთული სოციალისტური კუბის დედაქალაქის ქუჩები და მოედნები. ყველგან მოჩანს ხუთფერიანი საფესტივალო გვირილით დამშვენებული ალმები, ლამაზად გაფორმებული ტრანსპარანტები და პლაკატები, რომლებზეც წარწერილია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის დევიზი: „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“.

ფესტივალის გახსნის დღეს — 28 ივლისს — მსოფლიოს ახალგაზრდა თაობამ კვლავ ცხადყო უარყოფი გადაწყვეტილება განმტკიცოს ანტიიმპერიალისტური სოლიდარობა, განაგრძოს და გააფართოოს ბრძოლა მშვიდობისა და მეგობრობისათვის. მშვიდობის, უშიშროებისა და ხალხთა თანაშრომლობისათვის, განიარაღების, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მილიონობით ახალგაზრდა მებრძოლის წარმომადგენლები უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ ლენინ ილიას ძე ბრეჟნევის მისალმებას, რომელიც კუბის პრესაში დაიბეჭდა.

ნაშუადღევს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მოეწყო ჰავანელთა და დედაქალაქის სტუმართა სვლა ახალგაზრდობის ფორუმის საზეიმო გახსნის ადგილისაკენ—ლათინურამერიკული სტადიონისაკენ.

ფესტივალის საპატიო სტუმრების ტრიბუნაზე არიან კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო, კუბის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე საზღვარგარეთის დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ ეროვნული აჯანყების დღის — მონკადის აზარმის შტურმის 25-ე წლისთავის ამსაწინანდელ ზეიმში. მათ შორის არის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. შ. მაშეროვი.

გაისმის ფანფარების ხმა. უზარმაზარი ორკესტრი უკრავს სადღესასწაულო მარშს. სპორტული კომპლექსის ბილიკზე მიაბიჯებენ დელეგაციები, რომლებსაც მოაქვთ ფესტივალის 145 მონაწილე ქვეყნის დროშები.

მხურვალედ, ძმურად ეგებებიან შეკრებილნი სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

კოხტად არიან გამოწყობილი ლენინური კომკავშირის, საბჭოთა მთელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები: ქალიშვილებს აცვიათ თეთრი ბლუზები და შექმელურები ქვედაკაბები, ვიჟაბები — ღია ნაცრისფერი კოსტიუმები. მათ მკერდს უმშვენებს სხრ კავშირის სახელმწიფო გერბი.

კუბის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის, ქვეყნის მთელი ახალგაზრდა თაობისა და ხალხის სახელით მსოფლიოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებს გულთბადად მიესალმა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რაულ კასტრო.

დამსწრეთა ტაშის გრიალში რ. კასტრომ ეროვნული მოსამზადებელი კომიტეტის სახელით ფესტივალი გახსნილად გამოაცხადა და ახალგაზრდებს ახალი წარმატებანი ულოცავდა.

დღესასწაულის საზეიმო ნაწილი დამთავრდა. გამოდიან კუბელი სპორტსმენები — დაახლოებით ცხრა ათასი კაცი. ჯერ გამოჩნდნენ დღესასწაულის ყველაზე ნორჩი მონაწილენი. ბავშვები შეხმატკბილებულად მღერიან და ცეკვავენ, რეპროდუქტორებიდან ესპანურ ენაზე გაისმის სიმღერა „დაე მუდამ იყოს მზე!“ ტრიბუნების ცოცხალ ეკრანზე ერთ გამოსახულებას მეორე ცვლის.

ყველაზე ნორჩ მონაწილეებს ცვლიან უფროსკლასელები და სტუდენტები.

დღესასწაულმა გადაინაცვლა ილუმინაციების განათებულ ქუჩებსა და მოედნებზე. აქ გაიმართა სახალხო სეირნობა.

ე. ალექსეევი, ა. ბელიკოვი, ა. ვოროპაევი.

„ვაშინგტონ პოსტის“ სტატია

ვაშინგტონი, 28 ივლისი. (საკდეს). „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა უ. კასელის სტატია, რომელიც აკრიტიკებს ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ჯაშუშ შჩარანსკის პროცესის გაშუქებას.

მას შემდეგ, რაც შჩარანსკი დამნაშავეად ცნეს და გამოუტანეს განაჩენი, წერს უ. კასელი, ამერიკის პრესამ ბევრი სარედაქციო სტატია დაბეჭდა, რომლებშიც თავის გულისწყრომას გამოხატავს. მაგრამ საკმაოდ ობიექტურად შეისწავლა თუ არა მან შჩარანსკის წინააღმდეგ სამხილები?

შჩარანსკის ბრალი ედება იმაში, რომ იგი საბჭოთა თავდაცვითი მრეწველობისა და თავდაცვითი ობიექტების შესახებ დასავლეთის „სამხედრო-სადაზვერვო სამსახურს“ გადასცემდა ცნობებს „საზღვარგარეთელი კორესპონდენტის“ საშუალებით. ნუთუ ეს ასე დაუჯერებელია?

ჩვენ ვიცით, რომ შჩარანსკი, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის სპეციალისტი, ინფორმაციას გადასცემდა გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ ყოფილ მოსკოველ კორესპონდენტს ტოტს, რომელიც უარყოფდა, რომ მან, ტოტმა, ეს ცნობები შემდეგ გადასცა დასავლეთის დაზვერვის ორგანოების თანამშრომლებს. ყოველ შემთხვევაში მისი ერთ-ერთი სტატია თავის დროზე ასე იყო დასათაურებული „რუსი არაპირდაპირ ამბელს „სახელმწიფო საიდუმლოებას“. ისიც ვიცით, რომ ზოგიერთი ამერიკელი კორესპონდენტი და რედაქტორი დიდხანს ემსახურებოდა სადაზვერვო უწყებებს.

ასე რომ, დაასკვნის უ. კასელი „არა ვარ დარწმუნებული, რომ რუსებმა დასაჯეს უდანაშაულო ადამიანი“.

ახლო აღმოსავლეთი: სახიფათო პოლიტიკური თამაში

საერთაშორისო შენიშვნები

ფლეიულს იანვარში, მას შემდეგ, რაც ისმაილიაში მუშაობა შეწყვიტა ეგვიპტე-ისრაელის პოლიტიკურმა კომიტეტმა და პრეზიდენტ სადათის „ისტრიფული ინიციატივა“ ისრაელის პრემიერმა ბეგინმა ჩანასახშივე ჩაკლა, კაიროს ეურნალი „ოქტობრი“ არც თუ ორაზროვნად წერდა: „ჩვენი უბედურება ის არის, რომ თავს ვიტყუებთ და ვგვონია სხვასაც ვატყუებთ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ისრაელთან, ფაქტიურად კი ჩვენი ნამდვილი პარტნიორი ამერიკაა. დადგა დრო, რომ მას ველაპარაკოთ როგორც ისრაელის აღიარებულ მეურვეს. მაშინ ჩვენი პოზიცია გაცილებით ძლიერი იქნებოდა, ვინაიდან მთელი პასუხისმგებლობა ამერიკას დაეკისრებოდაო...“

ამავე დროს ეგვიპტის პრესა მკითხველის ყურადღებას ზოგიერთი ისეთი ფაქტსაც მიაქცევდა, რომლებიც მათი აზრით, შეიძლება ვაშინგტონზე ზეიმოქმედების ბერკეტად იქცეს და ამ უკანასკნელმა თავის მხრივ გაგლენა მოახდინოს ისრაელის მთავრობაზე. კერძოდ, წერდნენ, რომ შეერთებული შტატების ეკონომიკაში დაბანდებულია 60 მილიარდი არაბული ნავთობდოლარი, 1980 წლისათვის ამ ქვეყნის ენერგეტიკული მოთხოვნილებანი ნახევარზე მეტად არაბული ნავთობით უნდა იქნეს დაკმაყოფილებული და რომ ამერიკული ფირმები (მარტო ეგვიპტეში მათი რიცხვი 112-ს აღწევს) შეუფერხებლად ვაჭრობენ არაბებთან გამაგრილებელი სასმელებით დაწყებული და ავტომანქანებით დამთავრებული და ა. შ. ერთი შეხედვით, ეს თვალსაზრისი შესაძლოა უსაფუძვლო არ იყოს, მაგრამ ეგვიპტელი ჟურნალისტები რამდენადმე აზვიადებენ თავიანთ შესაძლებლობებს და არ ითვალისწინებენ სულ ცოტა ორ გარემოებას, რომელთა გამო ჯ. კარტერის ადმინისტრაციას არ შეუძლია შეასრულოს (ყოველ შემთხვევაში აშკარად) „მთავარი გამთამამებლის“ როლი სეპარატულ გარიგებაში და შეცვალოს, თავისი ტრადიციული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში.

ჯერ ერთი, ამერიკის მძლავრი სიონისტური ლობისა და მილიტარისტული წრეების ზეგავლენით, რომლებსაც თვითონ სახლის მნიშვნელოვანი დეკედი უპყრიათ ხელთ, ისრაელი ალბათ კიდევ დიდხანს ვაშინგტონის პრივილეგირებულ მოკავშირედ დარჩება.

და მეორე, თვითონ სახლის პატრონები, სარგებლობენ რა არაბული სამყაროს მიმართ სადათის მოღალატური და კაპიტულანტური კურსით, ცდილობენ ხორცი შეასხან იმპერიალიზმისა და სიონიზმის სტრატეგიულ გეგმებს ახლო აღმოსავლეთში, რომლებიც ითვალისწინებენ ამ რეგიონში ამერიკის გავლენის განმტკიცებას, პროგრესული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების პოზიციებისათვის ძირის გამოთხრას. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად კი ისრაელ ეგვიპტის სეპარატული გარიგება მიაჩნიათ, რომელმაც, ოკეანისგაღმელ სტრატეგთა აზრით, საბოლოოდ უნდა გათიშოს არაბული ქვეყნები და შექმნას იმის ხელსაყრელი პირობები, რომ თითოეულს ცალ-ცალკე თავს მოახვიონ ახლო აღმოსავლეთის „მოწესრიგების“ ამერიკულ-ისრაელური გეგმა.

სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ისმაილიაში შეხვედრის შემდეგ განვლილ პერიოდში ისრაელის პოლიტიკური კურსი სულ უფრო გამკაცრდა, ხოლო სადათი, რომელმაც ღრმად შესტოპა კაპიტულანტობის ეგვიპტის გეგმა ითვალისწინებს: იორდანიისათვის მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის დაბრუნებას 5 წლის შემდეგ. ამ პერიოდში ისრაელის, იორდანიისა და დასავლეთ ნაპირის მცხოვრებთა მიერ ერთობლივი დროებითი კომიტეტის შექმნას, რომელსაც ეყოლება საკუთარი საპოლიციო ძალები. ისრაელს უფლება ეძლევა შეინარჩუნოს დასავლეთ ნაპირზე დასახლებები, რომლებიც მან შექმნა 1967 წლის ომის დროს ამ რაიონის დაპყრობის შემდეგ, აგრეთვე გააგრძელოს სამხედრო ყოფნა დასავლეთ ნაპირზე, თუ ეს საჭირო გახდება მისი თავდაცვის უზრუნველსაყოფად. გათვალისწინებულია აგრეთვე დასავლეთ ნაპირის ზოგიერთი რაიონის დემილიტარიზაცია, რომლებიც უნდა დატოვოს ისრაელმა. სადათის დასაშვებად მიაჩნია 1967 წლამდე არსებული საზღვრების ნაწილობრივ შეცვლა. ყველა ეს პირობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ღაზის სექტორის მიმართაც, რომლის კონტროლი გადაეცემა ეგვიპტეს 5 წლის შემდეგ. უფრო მეტიც, სადათი თანახმაა, რომ ისრაელმა შენიღბული ფორმით სინაში შეინარჩუნოს თავისი სამხედრო-საპაერო ძალები.

ეგვიპტის ამ წინადადებათა განხილვის პროცესში ტელ-ავივმა კვლავ დაადასტურა თავისი ექსპანსიონისტური მისწრაფებანი და აგრძნობინა ეგვიპტის მხარეს, რომ იგი არავითარი პირობებით არ აპირებს თავისი ჯარების გაყვანას მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირიდან და ღაზის სექტორიდან, სადაც 1,1 მილიონი პალესტინელი ცხოვრობს.

როგორც ბეგინმა ამ ორიოდე დღის წინათ ამერიკის სატელევიზიო კამპანია სი-ბი-ესისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ერთადერთი საფუძველი მოლაპარაკებისათვის შეიძლება იყოს ეგრეთ წოდებული „ისრაელის სამშვიდობო გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ ნაპირის არაბი მცხოვრებლებისათვის სიმბოლური „ავტონომიის“ მინიჭებას. ეს ისრაელის ჯარების შენარჩუნების პირობით.

ტელ-ავივი კაიროს ღალატის ფასად ოცდაათ ვერცხლს სთავაზობს — სინის ნახევარკუნძულს, ოღონდ თუ ამ რაიონში შენარჩუნებული იქნება სამხედრო დასახლებები ისრაელის სამხედრო და ადმინისტრაციული კონტროლით.

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ მეთვალყურეთა შეფასებით, ამ უკანასკნელი მოთხოვნისა და მთელი რიგი სხვა ფაქტორების გამო ეგვიპტის პრეზიდენტი არ დაეთანხმება ამ გარიგებას და როგორც მოსალოდნელი იყო, სეპარატული ვაჭრობა წარუმატებლად დამთავრდა.

ამრიგად, როგორც ხედავთ, სადათის გეგმა, განსაკუთრებით პალესტინის საკითხში, არაფრით არ განსხვავდება ბეგინის გეგმისაგან. არც ერთი და არც მეორე გაკვრითაც არ იხსენიებენ პალესტინის განთავისუფლებისა და უპირობოდ გაყვანა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების უზრუნველყოფა.,

ამიტომ ერთადერთი რეალური გზა — ეს არის ჟენევის საზავო კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევა კონფლიქტში უშუალოდ ჩაბმული ყველა ქვეყნის, მათ შორის სირიის, იორდანიის და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლის, აგრეთვე აღნიშნული კონფერენციის თანთანამჯდომარის საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, რომელიც იმედმიდგანლილებს ახლო აღმოსავლეთის საკითხზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნული პრინციპებით, რომლებსაც, სამწუხაროდ, ვაშინგტონი ფაქტიურად განუდგა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ორმხრივი პოლიტიკური თამაში ოკეანისგაღმელი არბიტრის მეთვალყურეობით, ფეხბურთის ენით რომ ვთქვათ, მოედნის ცენტრს ვერ გასცდება. პირიქით, იგი კიდევ უფრო გააღრმავებს არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის დაძაბულობას და არ არის გამორიცხული, რომ ნებისმიერ დროს ახლო აღმოსავლეთი ახალი შეიარაღებული კონფლიქტის ასპარეზად იქცეს.

რობერტ გუშინ საკდესის კაიროელი კორესპონდენტი იუწყებოდა, ეგვიპტის უშიშროების ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს ისრაელის სამხედრო მისიის საქმიანობა, რომელიც ეგვიპტეში ნახევარ წელზე მეტი იყო. იგი შედიოდა ეგრეთ წოდებულ ეგვიპტე-ისრაელის სამხედრო კომიტეტში, რომელიც იხილავდა სეპარატული გარიგების სამხედრო საკითხებს, რასაც ორი ქვეყანა ამუშავებს.

როგორც ეგვიპტის სამხედრო მინისტრმა აღ-გამაზიმ განაცხადა, „ეგვიპტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება ადასტურებს მის პოზიციას, რომლის შესაბამისად ისრაელთან არავითარი პირდაპირი კონტაქტი აღარ იქნება მანამდე, სანამ ბეგინის მთავრობა არ შეიმუშავებს ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაზე“.

ტელ-ავივიდან რეიტერის საგენტო იუწყება, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბეგინმა განაცხადა, რომ „კაიროს მოულოდნელი გადაწყვეტილების მიუხედავად მშვიდობიანი მოლაპარაკების პროგრესის შანსი მაინც კარგია“. მან აგრეთვე თქვა, რომ ეგვიპტეში მყოფი ისრაელის სამხედრო დელეგაცია „მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდა ისრაელისა და ეგვიპტის დიალოგში“.

ბ. სამსონაძე.

„კომუნისტის“ მკითხველებს

ჩვენი კომენტარი

მთავრობის კრიზისი

ექვსი თვის შედარებითი სიმშვიდის შემდეგ პორტუგალიაში კვლავ დაიძაბა საშინაო-პოლიტიკური ვითარება. 27 ივლისს პრეზიდენტი რ. ეანეში დათანხმა კაბინეტის გადადგომას. მიმომხილველთა აზრით, სოციალისტური პარტიის ლიდერს მ. სოარეშს ამჟერად გაცილებით რთულ ვითარებაში მოუწევს ახალი მთავრობის შედგენა.

რა იმალება პორტუგალიის მთავრობის მორიგი კრიზისის მიღმა? 13 ივლისს მიცემულ ინტერვიუში სოარეშმა კითხვაზე — არსებობს თუ არა ქვეყანაში მემარჯვენე გადატრიალების საფრთხე? უპასუხა, „საფრთხე არსებობს, უპირველეს ყოვლისა, მემარჯვენე ძალების მხრივ, რომლებმაც უკანასკნელ ხანს კვლავ თავი აიჩვენეს“. მეორე დღეს კი ლისაბონის ტელევიზიით გამოსვლისას მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ კარნეირუმ ოფიციალურად მოითხოვა „ეროვნული ხსნის“ მთავრობის შედგენა ყველა მემარჯვენე და რეაქციული პარტიის წარმომადგენლობით. შექმნილ ვითარებაში მთავრობის კრიზისს უშუალო მიზეზად მაინც მოკავშირეთა — სოციალისტთა და სოციალ-დემოკრატიულ ცენტრისტთა შორის განხეთქილება იქცა. ეს უკანასკნელნი კატეგორიულად მოითხოვდნენ ორი სოციალისტი მინისტრის (სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის და ჯანმრთელობის დაცვის) ლ. საიაშისა და ა. დუარტე არნუს გადაყენებას. საიაშს ეგრეთ წოდებული ბარეტუს კანონის არაეფექტიანად განხორციელებას აბრალებენ, რომელიც ძველი მეპატრონეებისათვის მიწების დაბრუნებას ითვალისწინებს, ხოლო არნუმ რეაქციის რისხვა გამოიწვია ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის შექმნის კანონპროექტით.

ორი მინისტრის წინააღმდეგ კამპანია იმდენად ინტენსიური იყო, რომ პრემიერი სოარეშ ორჯერ იძულებული გახდა ოფიციალურად უარეყო მთავრობას რეორგანიზაციის პროგნოზები. ყველასათვის ცხადი იყო, რომ საქმე ეხებოდა არა იმდენად პიროვნებებს, რამდენადაც მემარჯვენე ძალების მორგ გაძლიერებას სოციალისტური პარტიის ხარჯზე. როდესაც პრემიერმა უარყო სოციალ-დემოკრატიული ცენტრას ულტიმატუმი საიაშის გადაყენების თაობაზე, ეს უკანასკნელი გამოვიდა კოალიციიდან და ამით მთავრობის კრიზისი სინამდვილედ იქცა.

ქვეყნის დემოკრატიული ძალების აზრით, კრიზისი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის კურსის პირდაპირი შედეგია. მაშინ, როდესაც შექმნილი ვითარება, მთელი დემოკრატიული ძალების გაერთიანებას მოითხოვს, სოარეში ჯიუტად ადგას კომუნისტთა იზოლაციის ტაქტიკას, რის გამოც მას სისტემატურად აკრიტიკებდნენ და აკრიტიკებენ როგორც მარჯვნიდან, ასევე მარცხნიდან.

ამრიგად, პორტუგალია კვლავ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა და მხოლოდ ახალი მთავრობის შემადგენლობა ცხადყოფს, მოხდა თუ არა მორიგი ძვრა მარჯვნივ.

ს. ციხცაძე,
პოლიტიკური მიმოხილველი.

მილესალმებიან კოსმოსიდან

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებს

თაკვიუფლების გმირი კუნძულის თავზე რომ მივფრინავთ, მხურვალედ მოგესალმებით პლანეტის ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებიც შეიკრებით ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალზე. ფესტივალის მიზნები და ამოცანები ახლობელი და გასაგებია ყველა ჩვენგანისათვის. ისინი მთელი პროგრესული კაცობრიობის აზრებსა და მისწრაფებებს ასახავს.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, ახალ წარმატებებს მშვიდობის, საერთაშორისო თანამშრომლობის, მთელი მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „პროგრესი-2“ კოსმოსური კომპლექსის ბორტი.

კოსმონავტები ვ. კოვალიონოკი და ა. ივანჩენკოები.

ბოლო კეთილია

პატარა ბალადა პატარა ბიჭზე, რომელიც გარგად მთავრდება

იყო ბიჭუნა
მოთხავით მწვანე და მკვირცხლი,
ჭირვეთ სძულდა
ცამეტი რიცხვი.
ცამეტში, მამა წაიყვანეს
საშინელ ომში,
არ დარჩენათ
ცამეტი გროში.
ცხოვრობდა
დედან ანაბარა.
ძალისძალათი,
შემდეგ, ცამეტში მოუტანეს
შავი ბარათი.
შეიცხადა და დაიხოკა
ღაწვები დედამ,
დედამ შავები,
ბიჭმა კიდევ ჩაიცვა ხევდა.
მიხმენს თამარი,
ველარ მალავს
ცრემლებს ბოლომდი.
— ბოლოს რა ხდება?
— ბოლოს, შვილო,
კვდება ბოროტი.

ოსეთში

გიორგი გასთაუთს — „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს

ტკივილივით ახლობელი
არის შენზე ოცნება,
ყანა ლელავს მაზობელი
თუ ომღერეს ოსებმა.
შენს უბეშიც შენახული
მწუხარება მგოსნების,
მწუხარებას როცა ვამბობ,
სული მიყვარს ოსების.
და სიმღერას როცა ვამბობ,
რაც თაფლივით მოწყეთავს,
მე პირადად, ჩემი ხირჩა
მაქვს მრისხანე ოსებთან.
ვიდრე ვწერ და
ვიდრე ვმსჯელობ,
ჩემი ლექსას მოწმეთ ვარ,
ომენ, ომენ!
იდეგრძელოს,
საყვარელმა ოსეთმა.

და სამოთხეში გეახელ...

სამგზრი, დენდროლოგიური პარკი ი. ნოდარიშვილს

სხვაზე ნაკლები რითი ვარ,
სხვაგან რად უნდა გენახე,
შენი სამოთხის ჩიტი ვარ
და სამოთხეში გეახელ.
ცხვარწინ აფრინდა ხოხობი,
გაიყოლია დედალი,
დაყნოსა ვარდი კოკობი,
გადაიფრინა კედარი.
შენი მამულის ავდარიც
გიქია ლოცვა-კურთხევით,
წითელი ხით და ბადარით,
სარკმეველით და ურთხველით.
მამულიც მზათ გაითენე,
ის ჩემი წმინდა კვირიკე,
შენი ნაძვებიც მიხდევენ
მამადავითის ბილიკებს.
რა ყალმით მოგვიხატია,
ეს დახრუკული ტრამალი,
რუსთველის ხელი ატყვია,
გვირგვინი ადგას თამარის.
რა გულიც ჩაგიტნევია
მიწაც იმ გულით ცხელია,
იქ, მალთაყვაში გელიან,
აქეთ, გლდანიხკენ გელიან...
ხარ ხიბაბუკის ნამტვრევი,
ქიზიყელი და ჯანმრთელი,
შენ. ჩოდრიშვილი. ქართველი,
ქართველზე უფრო ქართველი.

ორი ლექსი

:

ცხენს შევუტევ და მე მაინც
მოვალ,
შევანგრევ ციხეს, იქნება თოვა,
რძლისა და ქალის იქნება
გლოვა,
გენატრები თუ არ გენატრები...
ფახასისხლიანი მექნება ხმალი,
ციხის გატეხვას გაიგებს
ხვამლი.
ფეხზე მეცმევა ქურციკის
ხამლი,
გენატრები თუ არ გენატრები...
მე გარიჟრაჟით ვიქნები
მთვრალი,
შენ კი, ძლეული, ნაზი და
მწყრალი,
ჩემთან იქნები ვით შუქი
მთვარის,
გენატრები თუ არ გენატრები.

II

ეს ძველი ლექსი რამ გამახსენა,
რამ გამახსენა ძველი წუხილი,
ვინ აამღერა ლექსში არხენახ
ხმლის ტრიალი და თოფის
ქუხილი.
წვიმს და წვიმაში მცხეთა
ხველდება,
როგორც ნამქერი, მცხეთას
ჩავუვლი.
რა დრო გასულა? მე
მახსენდება
დეკემბრის ერთი დღესასწაული.
მე მახსენდება, როგორც
ზღაპარი,
ბურუსში როგორ ჩანდა
სხეული,
ჩვენს შორის იყო ლურჯი
ნაპრალი,
ნაკადულივით მთას დამჩნეული.
მე მახსენდება, როგორ,
ზღაპარი,
ჩემი სხეულიც, მთას
გადმომდგარი,
ასე ძლეული, ასე ჩამქრალი,
ასე სნეული და საცოდავი.
ჩვენს შორის იდგა უცხო
ტაძარი,
ცეცხლის, ყინულის და
მწუხარების,
დამარცხებული ბრძოლის
ხანძარის
და მთების, ზეცის მთუსალების.
არა, სამდურავს არ გეუბნები,
იმ მწუხარებით ვარ მოხიბლული,
ცარიელია გზაზე სუფრები,
ვარ იმ სუფრებზე ჯაჭვით
მიბმული.
არა, სამდურავს არ გეუბნები,
მე მინდა მხოლოდ რომ
გაგახსენო,
მხოლოდ და მხოლოდ ჩემი
უფლებით
შენ რომ ცოცხლობ და შენ
რომ არსებობ.
ცივი, გამჭოლი დგას დეკემბერი.
სიკვდილს ებრძვიან მთებში
ორბები,
ნამდვილ სიყვარულს როგორც
შეეფეთის,
ვკვდები, მაინც არ
გემშვიდობები.

□

მინიატურები

* * *

მოდის აღმოსავლით მზე
აცოცხლებს ყოველივეს
ჩამქრალს
უთუოდ კეთილი სძლევს
ბოროტს, უცილობლად
შთანთქავს.

* * *

გზადაგზა მოვიმღეროდი,
ვაზს ჩახვეოდნენ ხარდნები,
— ვიცი, რომ დიდხანს მელოდი,
მოვალ და გაგიხარდები.

* * *

ჩავიდა დასავლით მზე,
ხოლო დასავალზე მოჩანს,
თითქოს ხელთ უპყრია ზევსს,
სისხლით შეღებილი დროშა.

ვ. ქუთათელაძე

გარდაიცვალა უმაღლესი განათლების [illegible] ქუთაისი, თბილისის [illegible] სახელმწიფო საიერომწყოფო პედაგოგიური ინსტიტუტის [illegible] ფილოსოფიისა და მეცნიერული სოციალიზმის კათედრის გამგე, სკკპ წევრი 1945 წლიდან, პროფესორი ვახტანგ ვარლამის ძე ქუთათელაძე.

ვ. ქუთათელაძე დაიბადა 1919 წელს ქუთაისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო რუსთაველის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1941 წელს.

სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე.

1946 წელს ვ. ქუთათელაძე დაბრუნდა შშობლიურ ქუთაისში და დაიწყო მუშაობა რექტორად. პარალელურად მუშაობდა პედაგოგად მუსიკალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლებში. 1950-53 წლებში იგი საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების გაყოფილების გამგეა, შემდეგ კი საოლქო აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო სამმართველოს უფროსი. 1951 წელს წარმატებით ამთავრებს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტს.

1951-70 წლებში ვ. ქუთათელაძე განაგრძობს პედაგოგიურ მუშაობას — ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლებს.

1970 წლიდან გარდაცვალებამდე ვ. ქუთათელაძე მუშაობდა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში — ჯერ ეთიკის, ესთეტიკისა და მეცნიერული ათეიზმის კათედრის დოცენტად, ხოლო შემდეგ კათედრის გამგისა და პროფესორის თანამდებობებზე.

ვ. ქუთათელაძე მრავალი მეცნიერული ნაშრომისა და საგაზეთო სტატიის ავტორია. წლების მანძილზე იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

სადაც კი უმუშავია ვ. ქუთათელაძეს, ყველგან დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ. ვ. ქუთათელაძის ნათელი სახე დაუვიწყარია იმათთვის, ვისაც მასთან საქმისანი თუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონია.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო;
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი;
თბილისის ა. ხ. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

მაინც არ იშლიან

ისინი, ვინც თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებით ხელს უშლიან ფენრიგის დამყარებას და სახელს უტეხენ რესპუბლიკას; ისინი, ვინც თავიანთი უკონტროლობით და ნაყრუებით ხელს უწყობენ სკეკულაციას, თავაზეგულებას

ეს ამბავი ახლახან მოხდა. გარიჟრაჟი იყო. ონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ერთერთ სამეთვალყურეო პუნქტიდან იტყობინებოდნენ: ქუთაის-შოვის ავტოკეცილზე, კერორტ უწერის უბანზე, მამისონის ულელტეხილსაკენ გადაჭარბებული სიჩქარით მიდის მძიმეწონიანი „ზილ-130“ მარკის ბრეზენტგადაფარებული შვიდი ავტომანქანისაგან შემდგარი საეშვო ტვირთიანი კოლონაო.

ერთ-ერთი ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელობა თვითონ მილიციის უფროსმა, მილიციის მაიორმა ზ. გოგრიჩიანმა ითავა, მეორე ჯგუფს კი მილიციის უფროსის მოადგილე, მილიციის კაპიტანი ვ. ჯაფარიძე ხელუდგა სათავეში.

ჯგუფის წევრები სწრაფად ავიდნენ მამისონის ულელტეხილზე, რომელიც ზღვის დონიდან 2319 მეტრზე მდებარეობს. ავტომანქანების გავლის არავითარი ეკალი, არავითარი ნიშანი. ავტოკოლონა თითქოს მიწამ შთანთქაო.

გადაწყდა სამძებრო ოპერაციაში ჩაებათ საზოგადოებრიობა, ოფელის აქტივი. და აი, მათი დახმარებით მალე მოვიდა სარწმუნო ცნობა გაუჩინარებული ავტოკოლონის ადგილსამყოფელის შესახებ. სიგხალი სოფელ გლოლაზე მახლობლად, მდინარე ჭიჭარის მარჯვენა სანაპიროზე, საუკუნოვანი ნაშენარის უდაბური ტყეს სიღრმეში მდებარე პატარა ხევს მიეთითებდა. ეჭვი ჰქონდათ იმისაც, რომ იქ ავტომანქანებთან მძღოლებს გარდა უნდა ყოფილიყო ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით კოლონის გამცილებელი რამდენიმე ადამიანი.

ოპერატიული ჯგუფის წევრებმა, რომელთა შორის ამ სტრიქონების ავტორიც იყო, მჭიდრო ალაყა შემორტყეს ხევს. ჩვენი თვალწინ ასეთი სურათი გადაიშალა: ნაძვების ჩრდილქვეშ იდგა მსხლით, ვაშლით და ქლიავით დატვირთული შვიდი ავტომანქანა. მძღოლები ავტომანქანების ტექნიკურ საამედობას ამოწმებდნენ, საწვავს ასხამდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, ხილის საერთო წონა 30 ტონას შეადგენდა.

„დაუპატიჟებელი სტუმრების“ დანახვაზე ზოგიერთი უმალ ტყეში გაუჩინარდა. როცა მძღოლებს გავეესაუბრეთ დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს წონასწორ მოფიქრებულ, კარგად ორგანიზებულ ბოროტმოქმედებასთან.

ვანის რაიონში დაკომპლექტებულ სპეკულანტთა ჯგუფს გადაწყვეტა რაიონის ბიღების წლევანდელი წლის პირველი მოსავლით — გულაბი მსხლით, ვაშლით და ქლიავით დატვირთული ავტომანქანებით გადაელახა მიუდგომელი, ურთულესი, თოვლიანი მამისონის ულელტეხილი და მდინარე არდონის ხეობით ჩასულიყვნენ რუსეთის ქალაქების ბაზრებში და მამასისხლად, სპეკულაციურ ფასებში გაეყიდათ ეს პროდუქტები. და განა მარტო ხილი? მასთან ერთად ქართველი მშრომელი კაცის სინდის-ნამუსიც!

მაგრამ, ამჯერად კოკა წყალზე გატყდა.

ვინ არიან ეს ვაჟბატონები, სპეკულანტები და მომხვეჭელები, რომლებიც. ოღონდ ფული იშოვონ, არაფერს ერიდებიან, ლაფში სვრიან თავიანთი რაიონის, რესპუბლიკის ღირსებას.

როგორც მილიციის მიერ წინასწარი მონაკვეთი მასალებით, დამნაშავეთა ჯგუფის წევრების ნაამბობით დგინდება ამ საქმის მეთაურია ვანელი, ამჟამად თბილისში მცხოვრები, საკავშირო გაერთიანება „სოიუზატრაქციონის“ თბილისეული დირექციის (დირექტორი ა. ყიფიანი) ავტომანქანის მძღოლი ჯუმბერ კონსტანტინეს ძე დვალიშვილი. 17 ივლისს, როგორც საგზურშია მითითებული, მას თბილისიდან ცხაკაიაში ბავშვების სათამაშო ავტომატები უნდა გადაეტანა. ვაწში, თურმე ეუ იტყვი. „დედა მონატრებია“ და სახლში შეუვლია. მან, ავტომანქანის ძარაზე 5.256 კილოგრამი მსხალი დატვირთა, თან 75 კილოგრამი ქლიავი და 85 კილოგრამი ვაშლი მიაყოლა — რუსეთში კარგ ფასად გაიყიდებაო.

ეს ტვირთი ჯ. დვალიშვილს ეცოტავა და თანამზრახველ მძღოლთა ძებნა დაიწყო.

ჯ. დვალიშვილის ანკეტს პირველი ვანის ავტოსაწარმოს (დირექტორი — შ. მაღლაკელიძე) მძღოლები პაველ შიოს ძე ჩახუნაშვილი, ელისო მიხეილის ძე კორძაძე და სულიკო ამბროსის ძე ორმოიკაძე წამოეგნენ. პირველი ორი მძღოლი, თუ საგზურს დავუჯერებთ, ვანის რაიკომთკავშირის გამგეობის განკარგულებაში იყო და ბოლნისიდან კარტოფილი უნდა ჩამოეტანათ. მესამეს კი ავტომანქანა თავისი ოჯახის საჭიროებისათვის, ამბროლაურიდან აეყჯის გადმოსატანად ყავს გამოყვანილი. და აი, გარიგების შემდეგ სამივე მძღოლმა ავტომანქანებს გეზი უცალეს, 13 ტონა ხილით ფენტვირთეს მანქანები და რუსეთისაკენ იბრუნეს პირი.

ახლა ვანის ავტოსაწარმოს დირექტორს შ. მაღლაკელიძეს უკვირს და ირწმუნება — ღმერთმანი არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, რა ეშმაკი შეუჯდა ამ ბიჭებსო, ასე რომ გაიფუჭათ. მაგრამ განა მან არ იცის, რომ პ. ჩახუნაშვილი კარგა ხანია შეეჩვეულია ავტომანქანის პირად გამორჩენის მიზნით გამოყენებაში? შარშან მან ავტომანქანით კოროლიოკი წაიღო სომხეთში და ადიგენში დაკავეს. ამის გამო მას ერთი წლის ციხეში მუსაჯეს და ამავე ვადით ავტომანქანის მართვის უფლება ჩამოართვეს. დაუმთავრდა თუ არა მართვის უფლების აკრძალვის ვადა, ისევ იმავე ავტომანქანაზე დასვეს და როგორც დავინახეთ, იგივე დანაშაული ჩაიდინა. ისიც დადგენილია, რომ ავტოსაწარმოს დირექტორმა რაიკომპკავშირის გამგეობას სამმა მანქანა გამოუყო, თუმცა ამ უკანასკნელს მხოლოდ ორი ჰქონდა მოთხოვნილი. ამ ავტოსაწარმოს ბევრი მუშაკი და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი სახელგატეხილი და ნასამართლევია სხვადასხვა დანაშაულისათვის. ეს, ცხადია, აქ იცვან, მაგრამ რატომღაც პირში წყალი დაიგუბეს...

სერიოზულ საყვედურს იმსახურებს „საქსოფლტექნიკის“ ვანის განყოფილება (მმართველი — ბ. პაიკიძე). თუ არა გულგრილობით და წყარუებით, რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მისი ორი მძღოლი — ტარიელ ნოდარის ძე დოლონაძე და ბადრი აბესალომის ძე როხვაძე „ზილ-130“ მარკის სახელმწიფო მანქანებს ისე იყენებენ, როგორც პირად საკუთრებას. ტ. დოლონაძეს შარშან 3. ჩახუნაშვილთან ერთად სასპეკულაციოდ ხილი მიჰქონდა სომხეთში. გაასამართლეს და იძულება მიუსაჯეს, თან ავტომანქანის მართვის უფლება ჩამოართვეს. „საქსოფლტექნიკის“ ვანის განყოფილების მესეფურებმა ჭკუა ვერ ისწავლეს, გამოუსწორებელი მძღოლი ამას წინათ იმავე ავტომანქანაზე დასვეს და მწვანე გზა მისცეს. რაც შეეხება ბ. როხვაძეზე გაპირობებული ავტომანქანის 31-22 გაბ, თუ ჩანაწერებს დავუჯერებთ, დანაშაულის ჩადენის დღეს შემკეთებელ სასელოსნოში სარემონტოდ იდგა(!) სასელოსნოს ყარაული ჰყავს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ვერ „ამჩნევს“ სასელოსნოდან მანქანების გასვლას. ბ. როხვაძე დამნაშავეთა ჯგუფში მოხვდა. იგი 4666 კილოგრამი მსხლით დატვირთული ავტომანქანით დაიკავეს.

პირდაპირ გაგვაოცა ვანის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების კანტორის (გამგე — ლ. ბუბაშვილი) ავტომანქანის მძღოლის მურთაზ ბესარიონის ძე როხვაძის საეშვო რეისებმა. 20 ივლისს იგი თბილისში იყო ქალალდის ჩამოსატანად, მაგრამ მისი განცხადებით ხელფასიელი დაბრუნდა. ჩამოვიდა თუ არა რაიონში, ცოლშვილიც არ მოინახეთ, ძარაზე 100 ცალი მსხლით სავსე ყუთი დაიწყო და სოფელ ჭომაში სპეკულანტ მძღოლებს შეეფეთდა.

ყველა ჩამოთვლილ მძღოლს თავი მოაქვს: ამდენი ვიწვალეთ, მაგრამ გასამრჯელოდ ფული არავისაგან აგვიღია, ჯ. დვალიშვილი ჩვენებური კაცია, გვთხოვა და ხალი ვერ გავუტეხეთო. არც ამას ამბობენ, თუ ვისი ამადენი ხილი, სად არიან მათი პატრონები. იმედი გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოები ნათელს მოფენენ ამ საქმეს და ყველა დამნაშავეს საკადრისს მიუზღავენ.

და ბოლოს, ერთი შენიშვნაც— მომხვეჭელთა ამ ავბედითი რეისის მონაწილენი ვეფაფერს გახდებოდნენ, რომ რუსეთის ქალაქებისაკენ მიმავალ გზაზე მათ ხელისშემწყობნი არ გამოჩენოდათ. ერთ-ერთი ასეთთაგანია ონის ავტოსაწარმოს (დირექტორი გ. გობეჯიშვილი) თვითმცელელი ავტომანქანის მძღოლი ლ. მეშვილდიშვილი, რომელმაც ულრან ტყეში მიმალულ ავტოკოლონას თავისი თვითმცელელით მალულად ნახევარ ტონამდე სახელმწიფო ბენზინი მიუტანა.

საფუძვლიან ეჭვს იწვევს ბოლო დღეებში მამისონის ულელტეხილის თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოების დაჩქარებული ტემპი და გზის ყველაზე ძნელ უბანზე მორიგე ბულდოზერის დგომა. ეს გზა ავტოტრანსპორტის სასიარულოდ სრულებით არ არის მოწყობილი. იქ ყოველთვის მოსალოდნელია უბედური შემთხვევა. ამ ეჭვს ისიც განამტკიცებს, რომ, როგორც ონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. მეტრეველმა განაცხადა, 47-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მესვეურებს მან აუკრძალა ულელტეხილის გახსნისათვის სამუშაოების წარმოება. ლოგიკურად იბადება კითხვა: ვის აძლევდა ხელს, ვისი განკარგულებით ჩატარდა მამისონზე სასწრაფოდ ასეთი სამუშაოები?

კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი: ვანიდან მამისონამდე ხომ საკმაოდ დიდი გზა უნდა გაიაროს, სამტრედია, ქუთაისი და ამბროლაური. ნუთუ უფრო ადრე ვერავინ შენიშნა ეს ავტომანქანები?

ვფიქრობთ, ყველაფერს მალე აეხდება ფარდა.

ვ. ცირეკიძე.

„კომუნისტის“ სპ. კორესპონდენტი.



სურათზე: გლოლის ტყეში სპეკულანტების მიერ დამალული მსხლით, ვაშლითა და ქლიავით დატვირთული ავტომანქანები.

ჭიათურა—100

ჭ. ჭიათურის დაარსების მე-100 წლისთავის აღსანიშნავად მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროსამმართველოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მეათე ხუთწლედის სამი წლის დავალება სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის შეასრულოს. ამ თაოსნობას პირველნი გამოეხმაურნენ ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროსამმართველოს მშრომელები. მოწინავე კოლექტივების ამ ინიციატივას ქალაქის ყველა საწარმოში დიდი შრომითი ენთუზიაზმით შეხვდნენ. წარმოების თითოეული მუშაკი ცდილობს თავისი შრომითი წვლილით ღირსეულად შეეგებოს მშობლიური ქალაქის იუბილეს.

სურათზე: ჭიათურა დღეს.

ა. მაპპავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირი

კონკურსი

საქართველოს ნოვატორი მეათე ხუთწლედში

საქართველოს სს რესპუბლიკის ნოვატორთა საბჭო, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების საბჭო და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა აცხადებს რესპუბლიკურ კონკურსს საუკეთესო ნარკვევის, სტატიის, რეპორტაჟის, კორესპონდენციისათვის — დევიზით „საქართველოს ნოვატორი მეათე ხუთწლედში“.

კონკურსის მიზანია ფართო პროპაგანდა გაუწიოს მეცნიერთა, გამომგონებელთა, რაციონალიზატორთა და წარმოების ნოვატორთა მიღწევებს, შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილებებს, გვიჩვენონს, თუ როგორ იღწიან ისინი სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის, არსებულ სომძლავრეთა რაციონალური გამოყენებისათვის, მოწინავე გამოცდილების, მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების ფართო პრაქტიკული დანერგვისათვის.

დაწესებულია შემდეგი პრემიები: ორი პირველი პრემია — 300-300 მანეთი, სამი მეორე პრემია — 200-200 მანეთი, სამი მესამე პრემია — 150-150 მანეთი, სამი მეოთხე პრემია — 100-100 მანეთი, სამი წამახალისებელი პრემია — 50-50 მანეთი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიონალ ჟურნალისტებს, აგრეთვე მეცნიერებს, გამომგონებლებს, რაციონალიზატორებსა და წარმოების ნოვატორებს.

კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოებები არ უნდა იყოს პრესაში გამოქვეყნებული და მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილ 5-6 გვერდს.

კონკურსი დახურულია. ნაწარმოები ჟიურის ეგზავნება დეფიზით. ამ დეფიზით იგზავნება აგრეთვე ცალკე წერილი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, აღინიშნება, არის თუ არა იგი ჟურნალისტთა კავშირის ან სხვა შემოქმედებითი კავშირის წევრი; თანამდებობა და სამუშაო ადგილის მისამართი, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

ხაკონკურსო მასალები სამ ეგზემპლიარად უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, 380036, ლენინის ქ. № 14, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი, კონკურსისათვის, ხაკონკურსო ნაწარმოებების გაგზავნის უკანასკნელი ვადაა 1978 წლის 30 ნოემბერი.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება პრესაში არა უგვიანეს 1979 წლის 1 იანვრისა.

ხაკონკურსო მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ტატრიზია

30 ივლისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 09.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „იალტა“, „სიმფეროპოლი“ (ფერადი), 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 11.20 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 11.50 — „ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „თოხიანი სიმღერაში“ (ფერადი), 13.00 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალზე. გამოფენა „კუბის ახალგაზრდობა“ გადაცემა ჰავანადან, 13.30 — ბავშვებისათვის — „აბა დელია“ (ანიმეორებით), 14.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 15.15 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 15.45 — „კინოს მოყვარულთათვის“. 16.45 — „ხუთწლედი — წელი მესამე“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 18.00 — „კინოაფიშა“, 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი). 19.15 — „დღეს რსდმპ II ყრილობის გახსნის 75 წლისთავია“ (მოსკოვიდან), 19.45 — კონცერტი, 20.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფერადი). შესვენების დროს კინოჟურნალი, 21.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მშვიდობით, ინესა“ (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „ესტრადა და თანამედროვეობა“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — დოკუმენტური ფილმი „ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი“ (ფერადი), 19.00 — კონცერტი, 19.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიჭაბუკე“.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ბატრი მსოფლიო ჭირველობაზე

მეხუთე ყაიმი

მოთამაშეთა მსოფლიო პირველობის მეექვსე პარტია მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვსა და პრეტენდენტ ვ. კორჩნოის შორის 23-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ეს უკვე როგორ მეხუთე ყაიმია.

აი, როგორ წარიმართა ეს შეხვედრა:

კარპოვი — კორჩნოი
ინგლისური დასაწყისი

1. c4 e5 2. ∅c3 ∅f6 3. ∅f3 ∅c6 4. g3 ♗b4 5. ♗g2 0-0 6. 0-0 e4 7. ∅e1 ♗c3 8. dc h6 9. ∅c2 ♕e8 10. ∅e3 d6 11. ♖c2 a5 12. a4 ♖e7 13. ∅d5 ∅:d5 14. cd ∅b8 15. ♗e3 ♗f5 16. h3 ∅d7 17. c4 b6 18. ♖c3 ∅c5 19. b3 ♖d7 20. ∅gh2 ♕e7 21. ♗d4 f6 22. ♕ac1 ♖e8 23. ♖e3 და ამ მდგომარეობაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დარჩა 3 ტური

ვილნიუსი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). აქ მიმდინარე მოჭიდრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მეთორმეტე ტურში გულკოშ დაამარცხა დეორეეკი. ლებრედომ (კუბა) — პეშინა. ლეტინსკი (ჩეხოსლოვაკია)-ბელიავსკის, ტუმბაკოვ-პეტროსიანის, რეშევსკი (აშშ)-დამიანოვიჩის (იუგოსლავია), ესპიგ (ფრრ)-მიკენასის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

დორფმან-კაიშაურის (შვეიცარია) ლი მაია ჩიბურდანიძე-ჩრის (უნგრეთი) პარტიები გადაიდო.

თორმეტი ტურის შემდეგ ბელიავსკის 8,5 ქულა აქვს. ტურნირის დამთავრებამდე დარჩა სამი ტური.

ბ. გოგიჩაშვილი.

დიდი წარმატება

უკრაინის ქალაქ ლიპეცკში მიმდინარე სსრ კავშირის ძიუდოისტთა ჩემპიონატის მეორე დღე ქართველი ათლეტებისთვის იღბლიანი და სიხარულის მომგვრელი იყო. 86 კგ-მდე წონის მოჭიდავეთა — რიგელი ა. იაკუბეიანისა და გორელი ბ. გოგიჩაშვილის ფინალური შერკინება მართლაც რომ ტურნირის მშვენება გახლდათ. ქართველმა მოჭიდავემ ქულებით გაიმარჯვა და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიხვეჭა. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ნსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს სამბოში, ომსკელ ა. პუშნიცას და ფრუნზელ ა. იუნუსოვს.

78 კგ-მდე წონითს კატეგორიაში უძლიერესის სახელი დაიმკიცდრა კი